საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 სექტემბერი, 2014 წელი.

№180 (7561)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდიოლებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

კრაზანების აფუთფუთებული ბუდე

„ჯოჯოხეთა“ და ჯოჯოხეთის სხვა ნაცი მოციქულები,

ანუ აქა ამბავი „გასვლით“ გათამამებული „ბავშვებისა“

2

კაზანცარი

4

ანუ ჩათლახობის ზეიმი ანაკლიაში ... და სხვაგანაც

ქვირაძალის საკითხავი 7

უშბა – საჩუქრად ავსტრიელი ქალბატონისთვის

„ისლამის სახალიფო“ – სერიოზული საფიქრალი

5

◎ დღის ამოჯრაზურიდან

ექს-პრეზიდენტი ქუჩის ბიჭივით სიტყვაბილწობს...

– აბერ, ბატონო, ახლა ალბანეთში ვარ და ხედავთ, რა დონეზეც მიღებენ, ასევე სულ ტაშიტუშით გამოვიარე საბერძნეთი... რუსი ოლიგარქი ივანიშვილი კი ხმას მივრცელებს, თითქოს საბერძნეთში ჩემი დაკავება სცადეს... ერთი სიტყვით ივანიშვილი და მაგის მოურავი ჰაკიმ ფაშა ღარიბაშვილი სადამდისაც მომწვდებიან, იქ ჩამავლებენ, თორემ ჩემს დაჭერას ეგენი ვერ ელირსებიან... ხა-ხა.-ა... ასეა ეს...

წინსვლა

საქართველომ 88-დან 69-ე ადგილზე გადმოინაცვლა

საძართველო რეიტინგში უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: სლოვენია, სლოვაკეთი, უკრაინა, ხორვატია, საბერძნეთი, მოლდოვა, სომხეთი, სერბეთი, ალბანეთი, არგენტინა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ მიხედვით, საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა და ჩვენმა ქვეყანამ 144 ქვეყანას შორის 72-დან 69 ადგილზე გადმოინაცვლა, რაც ძალიან სასიხარულოა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს პოზიცია ძალიან ბევრ კომპონენტში გაუმჯობესდა და ყურადღება რამდენიმე მათგანზე გაამახვილა.

„გაუმჯობესებულია მაკროეკონომიკური გარემო; ჯანდაცვა და პირველადი განათლება; ბიზნესის განვითარება; ინოვაციები; საკუთრების უფლება; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; საჯარო სახსრების გვერდის ავლა; არაოფიციალური გადასახადები და ქრთამი – გაუმჯობესდა 5 საფეხურით; სასამართლოს დამოუკიდებლობა – გაუმჯობესდა 26 საფეხურით; მთავრობის გადაწყვეტილების უპირატესობა; დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობა; კანონმდებლობის ეფექტიანობა - გაუმჯობესდა 22 საფეხურით; მთავრობის პოლიტიკური კურსის გამჭვირვალეობა – გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 33-ე ადგილიდან გადმოინაცვლა 24-ე ადგილზე; ორგანიზებული კრიმინალი – გაუმჯობესდა 37 საფეხურით და 64-ე ადგილიდან 27-ე ადგილზე გადმოინაცვლა; პოლიციის მომსახურება გაუმჯობესდა 9 საფეხურით; ინვესტორების მხარდაჭერის გაძლიერება; ინფრასტრუქტურის ხარისხი; ეროვნული დანაზოგები (წილი მშპ-ში) – გაუმჯობესდა 26 საფეხურით“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ჯანდაცვის სფეროშიც არის მნიშვნელოვანი წინსვლა – გაუმჯობესდა ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე; სიცოცხლის ხანგრძლივობა; გაუმჯობესებულია დაწყებითი განათლების ხარისხი და დაწყებით განათლებაში ჩართულობა; საგანმანათლებლო სისტემის ხარისხი; ინტერნეტის ხელმისაწვდომობა სკოლებში;

„დანახარჯები სოფლის მეურნეობაში – გაუმჯობესდა 26 საფეხურით; საბაჟო პროცედურების სიმძიმე – გაუმჯობესდა 5 საფეხურით; გაუმჯობესებულია შრომის ანაზღაურება და ნაყოფიერება; ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა; ბანკების სიმყარე; გაუმჯობესდა უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა; ინოვაციური შესაძლებლობები. ჩამონათვალი დიდია, თუმცა, მე აქ მხოლოდ მთავარ კომპონენტებს შევეხე“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და შესაბამის უწყებებს მოუწოდა, აღნიშნული პროგრესის შესახებ მოსახლეობას მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB; UNESCO; World Health Organization, IMF და სხვა) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელიც მოიცავს კითხვარების შევსებას ბიზნეს-სექტორის მიერ.

აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები).

საქართველოს კონკურენტიანობის ინდექსის გაზომვა 2004-2005 წლებიდან დაიწყო – 94-ე პოზიციით. **შვიდი წლის განმავლობაში რეიტინგი მხოლოდ 6 ადგილით გაუმჯობესდა და 2011-2012 წლებში 88-ე პოზიცია გვეკავა.** საქართველოს რეიტინგი, 2012 წლის შემდეგ, ხელისუფლების ცვლილების პირველივე წელს 11 ადგილით (2012-2013 – 7-ე), ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში 8 პოზიციით გაუმჯობესდა. წლევანდელ რეიტინგში 144 ქვეყნიდან 69-ე ადგილი უკავია.

For.ge

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ კრაზანების აფუთფუთებული გუდე

„ჯოჯოხეთა“ და ჯოჯოხეთის სხვა ნაცი მოციქულები,

ანუ აქა ამბავი ,,გასვლით‘‘ გათამამებული ,,ბავშვებისა‘‘

— ჯოჯოხეთს მოგიწყობთო! — ყველას გვახსოვს „რუსთავი-2“-ის გენდირექტორის ნიკა გვარამიას ამ რამდენიმე თვის წინანდელი ბოღმიანი დანაქადი.

ახლა კი უფრო რეალურ მუქარაზე გადავიდა — ყელს გამოგღადრავთო!

მის დარად ადრინდელზე მეტად გააქტიურდნენ აკოები, ირმაკოები, გოკები, წერეთელ-მაჭავარიანები (ეს, ალბათ, თავიანთ თავკაცთან სარფის სარფიანი შეხვედრის დამსახურებაცაა!)...

— გაფრთხილებთ, საძართველოდან ახლავე აახვიეთო! — ფეისბუქის საკუთარი გვერდის „კბილებიდან“ გამოსცრა მუქარა გივი თარგამაძემ, თან ასე დააბოლავა სათქმელი — „პირობას გაძლევთ, არ ვბაძიბუძოგ და ნამდვილად გამოგიყვანთ წირვასს..“

მუქარის ადრესატები, მკითხველი იოლად მიხვდება, „მეოცნებეები“ არიან, სწორედ ისინი, ვისაც მინდა შევახსენო ერთი ხალხური სიბრძნე — **შენი სიყოჩაღე ჩემი სიბეჩავის ბრალიაო!** — მწარედ რომ ამოაკვნესებინა საკუთარი პასიურობით გათამამებული მეტოქის თავგასულობით დანაღვლიანებულ მავანს.

მართლაც ასეა, ბატონებო! თანაც, აკი ბავშვმაც თქვა, გამდის და იმად ვტირიო!

ჰოდა, ამათაც გასდით, მაგრამ კი არ ტირიან, სხვათა ატირებას ცდილობენ.

ახლა კი მინდა გადავიდე იმ მთავარ საკითხზე, რამაც ამ მასალის დაწერა გადამაწყვეტინა.

გუშინ, ნაშუადღევს, „ინტერპრესნიუსმა“ ორგანიზაცია „მოქალაქის“ აღმასრულებელი დირექტორის ნიკოლოზ ჩხეტიანის განცხადება გაავრცელა, რომელმაც თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილის სახელით გავრცელებული მასალა წმინდა წყლის პროვოკაციაა.

„მე თვითონ ჯერ არ მინახავს ეს განცხადება. არანაირი განცხადება „მოქალაქეს“ არ გაუვრცელებია. სავარაუდოდ, ელექტრონული ფოსტა გატეხეს და არაკორექტული განცხადება გაავრცელეს“, — აღნიშნა ჩხეტიანმა, **რომლის შეფასებითაც „ეს არის პროვოკაცია და სისხლის სამართლის დანაშაული“** *(ამ „თავის“ განცხადებაში ვითომც ბიძინა ივანიშვილი უბრალოდ აკრიტიკებს კი არა, პირდაპირ „აკატოკებს“ დღევანდელ ხელისუფლებას — რ. რ)..*

ჰაკერები რომ თავიანთი საქმის დიდოსტატები არიან და ზოგჯერ თითქმის შეუძლებელსაც ახერხებენ, ფაქტია (რამდენჯერ გაუტეხავთ ბანკების სერვერები, ახლახან კი დიმიტრი მედვედევის პერსონალურ საიტზეც შეაღწიეს!), მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მაინც ყოველი ღონე უნდა იხმაროს ამ დანაშაულის გასახსნელად.

ეს ამ სამინისტროს და პირადად მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ერთგვარ ღირსების საქმედაც უნდა იქცეს, რომელი მინისტრის მოხსნასაც ასე დაჟინებით მოითხოვენ ნაციონალები!

თავისი არ გააყვანინოთ და ნუ „ატირებთ“ „ბავშვებს“, ბატონებო, თორემ, ვაითუ, იმათ, თძვენი „სიმორცხვით“ იმედმოცემულ-წელგამართულებმა, თავად გიტირონ დედა!

და ბოლოს, კიდევ ერთი ამონარიდი ბატონ ნიკოლოზ ჩხეტიანის განცხადებიდან: **„ცალსახად ვაცხადებთ, რომ მსგავსი განცხადება ბიძინა ივანიშვილს არ გაუკეთებია და საქმე გვაქვს პროვოკაციულ ქმედებათან, რომლის მიზანიც საზოგადოების დეზინფორმირებაა. ვთხოვთ მედიასაშუალებებს, მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ბიძინა ივანიშვილის სახელით მოწოდებული განცხადებების სიზუსტე გადამოწმონ არასამთავრობო ორგანიზაციაში „მოძალაძე“ (ხაზგასმა ჩვენია — რედ.).**

კი, ბატონო, მაგრამ როგორ დაგიკავშირდეთ ამ ორგანიზაციაში, რა ნომერსა თუ მისამართზე, არ უნდა მიგვითითოთ?

ჩვენით მოვიპოვეთ თქვენი ელფოსტის ნომერი, კითხვაც გამოგიგზავნეთ და პასუხის სწრაფად გაცემაც გთხოვეთ, მაგრამ...

ამბას მარტო ამ ერთი კონკრეტული ფაქტის გამო კი არა, იმადაც ვამბობ ხაზგასმით, რომ კვლავაც, ლამის უცვლელად გრძელდება პრესისადმი, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ნაციონალების ზეობისას დამკვიდრებული, ასევე მეტად რბილი შეფასებით, არცთუ ყურადღებიანი დამოკიდებულება.

ამგვარად კი, რომ იტყვიან, ვერ გავფრინდებით, ბატონო ნიკოლოზ!

გამგებები, ალბათ, გაიგებებს, რომ ეს სულაც არ მითძვამს მხოლოდ თძვენი მისამართით და მარტო თძვენს გასაგებებად!

რუსლან რუსია

◎ ფეისბუქიდან

ნიკოლოზ გვარამიას მუქარა მოქალაქეთა კომენტარებით

ძვეცანაში ბოლო დროს გახშირებულ დანაშაულებს „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სოციალური ქსელით ეხმიანება და მთავრობას მიმართავს:

— „უსაშველოდ გაზრდილი კრიმინალის მოტივებზე: საქართველოს მთავრობავ, ჩემი ცოლი ვინმემ რომ დასეროს და 4 წლის შვილი დააუთოვოს (რაც ახლახან მომხდარა ვანში), კბილებით გამოგღადრავთ ყელს თითოეულ თქვენგანს, იმის მიუხედავად, პირდაპირი კავშირი გაქვთ კრიმინალის კონტროლთან, თუ არა. ერთ-ერთს რომ გიპოვნიან ყელგამოღადრულს, იქნება დანარჩენებმა ყურები გამოიფხიკონ, სხვანაირად საშველი არ ჩანს, გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაა ჩვენი ქუჩები“.

კომენტარები:

„ვერ არის ეს ჩემისა... უდანაშაულო ხალხს რომ ოფიციალურად ხოცავდნენ ქუჩებში და ცოცხებით აწამებდნენ, საკუთრებას ართმევდნენ, მაშინ რატომ არ გაუჩნდათ ნაციონალებს დამნაშავეების მიმართ ყელის გამოღადრის სურვილი? მაშინ რა, არ შეიძლებოდა მის ახლობლებს იგივე დამართნოდათ? ეს ულოგიკოდ აფერისტი ნაცები...

„ეს უკვე კრიმინალური განცხადებაა პოლიტიკური შინაარსით!!!“

შესაბამისმა ორგანოებმა მიხედონ ნაცების მუქარანარევ განცხადებებს, თორემ ორივეს ერთად მოუწევს... „ყულფში თავის გაყოფა!!“

„შენი გამოღადრული არ გაიშვა და შენი დაკბენილი, — კიდევ... ეტყობა, საშინელებათა ფილმებს უყურებ ძილის წინ. ფრთხილად იყავი, შენი გამოღადვრა არ დაგესიზმროს... და მერე ეს სიზმარი არ აგიხდეს. „ფეისბუქში“ კნავილი განაგრძეთ მარტო აქ, ვირტუალურ სივრცეში დარჩა თქვენი ადგილი.“

◎ ინფორმაცია

მთავრობამ თბილისის მერიას სესხის აღებაზე თანხმობა მისცა

როგორც გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა, თბილისის მერიამ თანხმობა ითხოვა, რომ სესხი აიღოს თბილისში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, დაახლოებით 30 მილიონი ლარის მოცულობით.

„დღეს მთავრობამ ამაზე იმსჯელა და მერიას თანხმობა მისცა, საჭიროების შემთხვევაში აიღოს ეს თანხა. ეს თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აიღოს მერიამ, თუ მის ანგარიშებზე იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე სასესხო ხელშეკრულებით არის გათვალისწნებული. ამავე დროს თანხები აიღება მხოლოდ ტრანშებით ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით“, — **განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.**

საქხედრო წვრთნების 16 მონაწილე ქვეყანას შორის საქართველოცაა

ძართველი ჯარისკაცები უკრაინაში გაემგზავრებიან და ორკვირიან სამხედრო წვრთნებში სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას. ინფორმაცია ამის შესახებ თავდაპირველად CNN-მა გაავრცელა. მოგვიანებით კი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ სამხედრო წვრთნებში ოცეულს აგზავნის.

ქართველ სამხედროებთან ერთად სწავლებაში 15 ქვეყნის ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის, 200 ამერიკელი სამხედრო, ასევე სამხედროები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, მოლდოვადან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან და ესპანეთიდან.

სწავლების სცენარის მიხედვით, მრავალეროვნულ ბრიგადას უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით მოუწევს მოქმედება.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ვინ და როგორ შეიძლება ისარგებლოს სექტემბერში დაგეგმილი ორკვირიანი წვრთნებით და შესაძლოა, თუ არა რამე გართულებები მოჰყვეს უკრაინაში მიმდინარე სამხედრო სწავლებებს?- for.ge სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორს **ირაკლი ალადაშვილს** ესაუბრა.

ირაკლი ალადაშვილი: ეს არის მრავალეროვნული წვრთნები, მსგავსი სამხედრო სწავლებები ადრეც არაერთხელ ჩატარებულა, მათ შორის, ქართველი სამხედროების მონაწილეობით. დღეს განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, უკრაინაში ომია. ეს ფაქტი კი სულ სხვა ელფერს აძლევს ამ სამხედრო სწავლებას. თუმცა, რეალურად, სამხედრო სწავლების ადგილი საკმაოდ შორსაა საბრძოლო მოქმედებების რაიონიდან.

— როგორ ფიქრობთ, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობით უკრაინაში გამართული სამხედრო სწავლებები, იქნება თუ არა ერთგვარი გამოწვევა რუსეთისთვის?

— რა თქმა უნდა, რუსული მხარე ამას გამოიყენებს საკუთარი პროპაგანდისტული მიზნებისთვის, იტყვის, რომ ამერიკელები, ქართველები და სხვა ქვეყნის მოქალაქე სამხედროები ჩადიან და ეხმარებიან უკრაინელებს. მაგრამ, იმის შიშით, რომ მოსკოვს რამე არ ეწყინოს, ქართველები სუნთქვაზე უარს ვერ ვიტყვით.

— სამხედრო თვალსაზრისით, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველწლიური საერთაშორისო სწავლება „რაპიდ ტრაიდენტი“ და რამე განსაკუთრებულ საფრთხეებს შეიცავს თუ არა ამ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობა?

— დღეს ქართული ოცეულის მონაწილეობა ამ სწავლებაში, წესით, რამე პრობლემას არ წარმოადგენს. სხვათა შორის, იყო პერიოდი, როცა უკრაინაში გამართულ მსგავს სამხედრო სწავლებებში თავად რუსეთიც კი მონაწილეობდა - საკუთარ სამხედრო დანაყოფებს გზავნიდა. ეს 90-იან წლებში ხდებოდა.

— იმედია, ჩვენი ოცეული წვრთნებში მონაწილეობის შემდეგ უკან ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაბრუნდება.

— სამხედრო თვალსაზრისით, ამ სწავლებას რამე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. ეს უკრაინას, პრაქტიკულად, ვერაფრით დაეხმარება. მაგრამ, ამ სამხედრო წვრთნებს, რა თქმა უნდა, აქვს პოლიტიკური დატვირთვა - სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც უკრაინასთან მეგობრობენ, საკუთარ სამხედრო დანაყოფებს აგზავნიან სწავლებაში მონაწილეობისთვის.

— შესაძლებელი იყო თუ არა, წელს ორკვირიანი მრავალეროვნული წვრთნების სხვა ტერიტორიაზე ჩატარება, თუ აუცილებლად უკრაინის ტერიტორიაზე უნდა გაიმართოს?

— ეს სწავლება, რა თქმა უნდა, დღეს არ დაგეგმილა. როგორც წესი, 1-2 წლით ადრე იგეგმება. უბრალოდ, უკრაინამ აღარ შეცვალა. ისე, შეცვლით თითქმის ყველაფრის შეცვლა შეიძლება. უკრაინას შეეძლო, ეთქვა, რომ დღეს ამ სწავლებებისთვის არ ეცალა და სხვაგან გაიმართებოდა. თუმცა, დღეს ამ წვრთნების საკუთარ ტერიტორიაზე ჩატარება უკრაინის ინტერესებში შედის. ძნელი სათქმელია, გამოიყენებს თუ არა, ან რა ფორმით გამოიყენებს ამას რუსეთი.

ამ სამხედრო სწავლებაში მონაწილეობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ეს დანაყოფები საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთვებიან. მით უმეტეს, რომ ეს სწავლება ტერიტორიულადაც სხვა მხარეს იმართება.

ელენე აბესაძე

თავისი მდიდარი ბიბლიოთეკისა და არქივის საქართველოსთვის გადმოცემა და საიმედოდ დაბინავება ემიგრაციაში მცხოვრებ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს აკაკი პაპავას თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში გულით ეწადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მაშინ ვერ მოხერხდა. ვერ მოხერხდა ეს ვერც მისი მეუღლის თამარ პაპავას სიცოცხლეში. მშობლების ანდერძის ერთგულმა მათმა ქალიშვილებმა — ტურფა და მზია პაპავებმა ბიბლიოთეკისა და არქივის ნაწილი 1997 წელს ცნობილ ჟურნალისტს, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორს პაატა ნაცვლიშვილს საქართველოში გამოატანეს და მასვე დაავალეს ზრუნვა მთელი არქივისა და ბიბლიოთეკის საქართველოში ჩამოსატანად და დასაბინავებლად. ამ ზრუნვის შედეგად და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ბუბა კუდავას მხარდაჭერით 2008 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაარსდა თამარ და აკაკი პაპავების მემორიალური კაბინეტი, ხოლო 2013 წელს შესაძლებელი გახდა პაპავების ბიბლიოთეკისა და არქივის საქართველოში სრულად ჩამოტანა და მათი სახელობის კაბინეტში დაბინავება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომპანია ჯეოსელმა. ხელნაწერთა ცენტრის სპეციალისტებმა უკვე დაასრულეს პაპავების ბიბლიოთეკის აღწერა, მალე დასრულდება მათი არქივის დამუშავებაც. მალე დასრულდება აგრეთვე მათი მიმოწერის გამოცემაც, რასაც რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტი ახორციელებს ამ ინსტიტუტის დირექტორის პაატა ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობით. ასე რომ, მალე მთელი ეს მდიდარი მასალა სრულად ჩაერთვება სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმოქცევაში, რაც მნიშვნელოვნად გააღრმავებს ჩვენს ცოდნას ქართული ემიგრაციის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა სფეროში.

ამ დღეებში საქართველოს ესტუმრებიან თამარ და აკაკი პაპავების შვილიშვილები — გულნარა და სალომე ჭეიშვილები. მათ საშუალება ექნებათ, საკუთარი თვალით ნახონ, როგორ არის და როგორ იქნება დაცული მათი სახელოვანი წინაპრების მიერ საქართველოსთვის ნაანდერძევი საგანძური საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

თამარ და აკაკი პაპავების ბიბლიოთეკამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ხელნაწერთა ცენტრის ისედაც უნიკალური ბიბლიოთეკა, შეავსო იგი არაერთი გამოცემით, რის შესახებაც საინტერესოდ მოგვითხრობს თავის წერილში ხელნაწერთა ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ნანა თარგამაძე.

თამარ და აკაკი პაპავების პირადი ბიბლიოთეკა - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტების თამარ და აკაკი პაპავების პირადმა ბიბლიოთეკამ და არქივმა, მათი მემკვიდრეების თანხმობითა და მეცადინეობით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაიდო ბინა.

აკაკი პაპავა თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული საზოგადო მოღვაწე ბრძანდებოდა. იგი XIX-XX საუკუნის მოღვაწეთა აქტიური შემფასებელი იყო. შეფასების კრიტერიუმად კი ეროვნულობას თვლიდა. **იგი კრიტიკულად აფასებდა იმ ადამიანთა საქციელს, რომლებმაც მიატოვეს „საკუთარი ქვეყანა და ბორკილებში ჩაჭედილი ჩვენი ხალხი მტრის საგვემად დააგდეს, საკუთარი თავი კი უცხოეთს შეაფარეს“. იმასაც ხაზგასმით ამბობდა, რომ „ქართლის ცხოვრებამ“ დიდთა და ძლიერთა საქმენი დაგვაკისრა და „ამით ვართ უკვდავნი“.**

თამარ და აკაკი პაპავები უკვდავნი არიან. ემიგრანტული ცხოვრების მძიმე და მტკივნეულ წლებში საქართველოზე ფიქრი, ზრუნვა და თანადგომა მათთვის უმთავრესი იყო. სამშობლოსათვის ზურგი არასოდეს შეუქცევიათ. ყველა განძი, რაც ემიგრაციაში შეიძინეს, საქართველოს დაუბრუნეს. ეს ეხება ჩვენს ეროვნულ სიწმინდეს — თბილისის სიონის ტაძრის ტრაპეზის ნაქარგ გადასაფარებელს, უდიდესი ხელოვნებით შესრულებულს 1773 წელს ქსნის ერისთავის იესე ყულ-არაღასის მეუღლის ქეთევანის მიერ და მრავალი წლის სათუთად მოვლილ უნიკალურ პირად ბიბლიოთეკასა თუ არქივს.

შემოწირული ფონდი 2269 ერთეულს ითვლის. იგი მდიდარია წლების მანძილზე შეძენილი იშვიათი გამოცემებით ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე. აქვეა დაცული ემიგრანტული წიგნები და ჟურნალები.

თამარ და აკაკი პაპავების ფონდს ამშვენებს ქართველ კლასიკოსთა არაერთი გამოცემა. დაცულია მათ მიერ შეძენილი ქართული მხატვრული ლიტერატურის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ენის მნიშვნელოვანი წიგნები: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, სულხან-საბა ორბელიანის, ალექსანდრე ყაზბეგის რჩეული გამოცემები თუ ცალკეული ნაწარმოებები. მაგალითად, სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“ 1930 წელს ჰამბურგში შეუძენიათ, რასაც თავფურცელზე შესრულებული მინაწერი გვამცნობს.

ფონდში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემები: შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედ.: ალ. ბარამიძე, ა. შანიძე, თბილისი, 1957; ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლ. ყუბანეიშვილმა, რედ.: ალ. ბარამიძე, თბილისი, 1956; Shota Rustaveli, The knight in the panther skin, Translated from the Georgian by Venera Urushadze, Red.: L. Eliozishvili, Tbilisi, 1986; Ch. Roustaveli, Le chevalier a la peau de tigre, Traduit du Georgien avec introduction et des notes par Serge Tsouladze, 1964; Ш. Руставели, Витязь в тигровой шкуре, Ред: А. Славинская, Ленинград, 1984.; შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი სომხურ ენაზე, თარგმანი: გიორგი ასატურისა, ერევანი, 1937; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი ებრაულ ენაზე, ქართულიდან ებრაულად თარგმნა ბორის გაპონოვმა, 1969.

პაპავების ბიბლიოთეკის ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XX საუკუნის ქართულ პოეზიას და პროზას: მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, რეზო ჭეიშვილი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი (რომელთანაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა აკაკი პაპავას), იოსებ ნონეშვილი და სხვები.

ფონდში წარმოდგენილია გრამატიკული და ლექსიკოგრაფიული ნაშრომები: M. Brosset, Elements de la langue Georgienne, Paris, 1837; K. Tschenkeli, Georgisch-Deutsches Worterbuch, 1960 (ცნობილია პაპავების მეგობრობა კიტა ჩხენკელთან).

ლექსიკონებიდან აღსანიშნავია: R. Meckelein, Georgisch-Deutsches worterbuch, 1928; J. Pawlowsky, Deutsch-Russisches Worterbuch, 1922; Ю. Абуладзе, Русско-грузинский словарь, 1927; М. Каракешишян, А. Саратикянов, М. Мхитарян,Русско-армянский краткий словарь, 1934;

აღნიშვნის ღირსია ის წიგნები, რომლებიც ჩვენი ცენტრისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია — კორნელი კეკელიძის მიერ გამოცემული წიგნები: Иерусалимский канонарь VII века, Тбилиси, 1912 და Литургические грузинские памятники в отечественних книгохранилищах, Тбилиси, 1908. ამ უკანასკნელს თავფურცელზე აქვს ეგზარქოს პიტირიმისადმი კორნელი კეკელიძის მიძღვნითი ხასიათის წარწერა, რომელიც თარიღდება 1914 წლით (საოცარია, რომ ამ წიგნმა მფლობელთან ერთად მოიარა ცენტრალური ევროპა, სამხრეთ ამერიკა და განგების ძალით დაბრუნდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში — ყოფილ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში); ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933; А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности: Т, 1, вып.. 1,2,3, 1886-1894 ; Тексты и разыскания по армянгрузинской филологии: книга VI, Физиолог, 1904; Житие св. Григоря Хандзтийского – Грузтнский текст, Книга VII, 1911;Государстенный строй Древней Грузии и древней Армении: книга VIII-т. 1, 1905. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ გამოცემის VII და VIII ტომებით შეივსო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის ხარვეზი.

თამარ და აკაკი პაპავების ფონდში თავმოყრილია იშვიათი გამოცემები საქართველოს ისტორიის შესახებ, რომელთა მოპოვება ემიგრაციაში მყოფთათვის მნიშვნელოვან სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

პირად ბიბლიოთეკაში დაცულია:

Акты собранные кавказского археографического коммиссиею: Томь II, Томь II, (часть 2), Томь III, Томь III (часть 3), Томь IV, Томь IV (часть 2), Томь V, Томь V, (часть 5), Томь VI (часть 2), Томь VII, Томь VII, (часть 7), Томь X, Томь X (часть 10). ამ კოლექციის მიღებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შეივსო აქტების სრული კომპლექტი;

ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია;

Епископос Кирион, Культурная роль Иверии в истории Русии, 1910.

ბიბლიოთეკაში არის ასევე XIX-XX საუკუნის ქართველი ისტორიკოსების ზ. ჭიჭინაძის, პლ. იოსელიანის, ა. ნატროევის, დ. კარიჭაშვილისა და სხვათა შრომები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წიგნები კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ. ნიმუშად მოგვყავს რამდენიმე მათგანი:

Н. Дубровин, Закавказье от 1803-1806 года, 1866 г.;

Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе,Том 5. შესანიშნავი გერმანული გამოცემა: G. Merzbacher, Aus den hochregionen des Kaukasus, 1901;

А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867 гг.); часть первая (1842-1851 гг.) часть втарая (1851-1856), 1879 г.;

J. Mourier - L'art au Caucase, 1907 y. ამ უკანასკნელ წიგნში ჩაწყობილია ფურცლები, რომლებზედაც გულდასმით არის გადმოტანილი ერთ-ერთი ტაძრის ქართული ლაპიდარული წარწერები, რომელთა წაკითხვას ცდილობდა აკაკი პაპავა.

ფონდში დაცულია აგრეთვე:

Утверждение русскаго владычества на Кавказе, Том 1-3, Под русководствомь начальника штаба Кавказского военного округа ген.-лейт, Н. Н. Бьлявскаго; Составлен вь Военно-Историческом отдьль под редакцией генераль-маиора Поммо,1904 г.;

Историческая записка об управлении Кавказом, 1907 г.;

Кавказский календарь-ის კოლექცია, რომელმაც შეავსო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხარვეზი და სხვ.

პაპავების პირად ბიბლიოთეკაში დაცულია რუსი კლასიკოსების არაერთი ნაწარმოები, რუს მეცნიერთა შრომები.

ბიბლიოთეკის ფონდში დაცულია თამარ და აკაკი პაპავების ნაშრომები, აგრეთვე, ქართველ ემიგრანტთა გამოკვლევები და მხატვრული ლიტერატურა. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვიკტორ ნოზაძის შრომებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ერთერთ მათგანი ავტორის ნაჩუქრობის წარწერითაა. თითქმის სრულყოფილადაა წარმოდგენილი ემიგრანტული პერიოდული გამოცემები: „ივერია“, „ერის დიდება“, „თავისუფალი ტრიბუნა“, „ბედი ქართლისა“ და სხვ.

პაპავების ბიბლიოთეკის ფონდის დამუშავებისას ყველა ავტოგრაფი, ნაჩუქრობის წარწერა და შენიშვნები ფიქსირებულია. აკაკი პაპავას თავიანთ ნაშრომებს უძღვნიან ექვთიმე თაყაიშვილი, კალისტრატე სალია, კონსტანტინე გამსახურდია, გაიოზ იმედაშვილი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი კონსტანტინე უძღვნის „საქართველოს კალენდარს“ მზიასა და საშას (თამარ და აკაკი პაპავების ქალიშვილი და სიძე), ასევე გულნარასა და სალომეს (თამარ და აკაკი პაპავების შვილიშვილები). განსაკუთრებული სითბოთი და სინაზით გამოირჩევა თამარის და აკაკის ნაჩუქრობის წარწერა შვილისადმი: „ჩვენს უსაყვარლეს მზიას მისი ქალიშვილობის დღესასწაულს“... დედა და მამა, ჰამბურგი, 1933 წლის 2 აპრილი.

ბიბლიოთეკის ფონდის გაცნობისას გამოიკვეთა თამარ და აკაკი პაპავების ფართო ინტერესები: მრავლადაა წიგნები ხელოვნებასა და პოლიტიკაზე, მემუარებსა და მოგზაურობაზე. ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების — თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ბელორუსიის და სხვათა ლიტერატურა და ისტორია.

ბიბლიოთეკას ატყვია მზრუნველი ხელი. მცირეფორმატიანი და რბილყდიანი წიგნები საგანგებოდაა მოვლილი. ისინი ფორმატის შესაბამისად, ერთადაა აკინძული ერთიდან ათ ერთეულამდე.

მომზადებულია თამარ და აკაკი პაპავების პირადი ფონდის ელექტრონული ვერსია. დაინტერესებულ მკითხველებს საშუალება აქვთ გაეცნონ და ისარგებლონ ამ ინფორმაციით. მემორიალური კაბინეტი მზადაა მათ მისაღებად.

ნანა თარგამაძე,
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

კაზანტიპი

ანუ ჩათლახობის ზეიმი ანაკლიაში ... და სხვაგანაც

მძიმე დრო უდგას საქართველოს! იქნებ ყველაზე უფრო მძიმეც კი, მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. გაჭირვება, როგორ არ გვქონია: ხან ომებში დავმარცხებულვართ სასტიკად და გამარჯვებულებს მძიმე ხარკიც დაუდიათ ჩვენთვის, ხან შინააშლილობასა და უგუნურ სეპარატიზმს შეწყვეტია უკეთეს მამულიშვილთა თაობები, ხან სასტიკ გვალვებს გაუცლიათ შიმშილით ქანცი ომებში დაღლილი ქართველებისათვის, მაგრამ ყველა უბედურება ასე ერთად რომ დაგვტეხოდა თავზე, ამას არავინ მოსწრებია დღემდე: მებრძოლ სეპარატიზმთან წაგებული ომი და დაკარგული ტერიტორიები, ქვეყნის მარჩენალი ეკონომიკის გაპარტახება მოწინავე განათლების სისტემის დაბნელების სისტემად გარდაქმნა, ოკეანის გაღმელთა მიერ ჩვენი ქვეყნის სრული დაკაბალება და ყურმოჭრილ მონად გადაქცევა, უცხო ქვეყნის მსტოვართა აულაგმავი თარეში, ერის მოღალატეთა გაბატონება... და ქართველთა ერთი ნაწილის სრული ზნეობრივი დაცემა ანუ გაჩათლახება.

ვაი, რომ „არა ჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამამყრელი ჯავრისა“..

მავანის კეთილშობილ ყურს შეიძლება ეჩოთიროს სიტყვა „გაჩათლახება“, თუმცა, „ჩათლახი“ მისი უცხოური წარმომავლობის მიუხედავად, დიდი ხანია ჩვენს მშობლიურ ლექსიკაშია დამკვიდრებული. „ჩათლახი“ თურქული წარმომავლობის ტერმინია, რაც გაბზარული ჭურჭლის აღსანიშნავად იხმარება. ამგვარ ჭურჭელში საღ გონებაზე მყოფი კაცი აღარაფერს ჩაასხამს და, ამიტომ, „ჩათლახი“ ჭიქა თუ „ჩათლახი დოქი“ სანაგვეზე უნდა გადააგდო. ქართველებმა „ჩათლახი“ არა დოქისა თუ ჭიქის, არამედ მხოლოდ ადამიანის დასახასიათებლად გადმოიღეს. ჩათლახიაო ჩვენში, ზნეობადაკარგულ კაცზე იტყვიან, რომელსაც აღარაფერი აქვს კაცური და, ამიტომ, იგი აღარც მოყვრად ვარგა და აღარც მტრად. მოყვარე ან მტერი მხოლოდ ისეთი კაცი შეიძლება იყოს რომლის საქციელსა და საქმეს გარკვეული პრინციპები უძევს საფუძვლად. ზნეობადაკარგულ, ანუ ჩათლახ კაცს რა პრინციპები მოეთხოვება, ნეტავი!

ისედაც საყოველთაოდ ცნობილი ტერმინის ამხელა კომენტარისათვის დიდ ბოდიშს ვუხდი მკითხველს, მაგრამ რა ვქნა? ისეთი ამბები ხდება ამ ბოლოდროინდელ საქართველოში, ისეთ რამეებს ჩადის ჩვენს თვალწინ საზოგადოების ერთი ნაწილი, რომ ამ ტერმინის გარეშე მათი საქციელის დახასიათება არ შემიძლია. ამას გარდა, ისიც ღრმად მწამს, რომ ავადმყოფის განკურნება მაშინ იწყება, როდესაც მის სნეულებას ნამდვილ სახელს მოუძებნიან ხოლმე.

ა, ბატონო, ანაკლია! გახსოვთ, ალბათ, რა ამბავი ატეხეს ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენმა მედასავლეთე „კულტუროლოგებმა“. ამ მშვენიერ ზღვისპირეთში სეპარატისტულად განდგომილი აფხაზეთის საზღვრის სიახლოვეს ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი უნდა მოვაწყოთ, მოაწყდებიან ტურისტები მსოფლიოს ყველა კუთხიდან და ფულით გაიძეძგება ჩვენი საბიუჯეტო ყულაბაო. ამას გარდა, განდგომილი აფხაზები რომ დაინახავენ მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ ტურისტთა ბედნიერ სახეებსა და ჩვენს ერთბაშად აყვავებულ ეკონომიკას, იხუვლებენ და გამოიქცევიან ჩვენსკენო (გულში ჩასახუტებლად, ცხადია!).

საქმე საქმეზე რომ მიდგა და ზღვისპირეთის ამ ლამაზ სანაპიროს რამდენიმე ჰექტარ ფართობზე სათანადო ინფრასტრუქტურა რომ აიგო, აღმოჩნდა, რომ აქ, თურმე, „კაზანტიპის რესპუბლიკა“ მკვიდრდებოდა კარგა ხნით, თავისი კონსტიტუციური წყობითა და პრეზიდენტით. **კონსტიტუციაც არის და კონსტიტუციაც! კაზანტიპის რესპუბლიკის კონსტიტუცია იმით განსხვავდება ყველა სხვა, დღემდე ცნობილი კონსტიტუციებისაგან, რომ მის მიხედვით ყველაფერი დასაშვებია, რაც კი მახინჯ თუ ავადმყოფ ტვინს მოუვა აზრად: სექსი პლაჟზე დღისით-მზისით, ერთჯერადი (III) ქორწინების რეგისტრაცია (და, თანაც, სავალდებულო როდია, ეს ქორწინება მაინცდამაინც ქალსა და მამაკაცს შორის გაფორმდეს), ნარკოტიკების მოხმარება და სხვა ყველაფერი, რაც ყველა შეზღუდვისაგან თავისუფალ სუბიექტს მოეპრიანება.**

აბა, მითხარით, რითი არ არის ასეთი ე.წ. რესპუბლიკა ჩათლახობა? ვინ შეიძლება მოიწადინოს ასეთი რესპუბლიკის მოქალაქეობა, თუ არა ჩათლახმა?

იმის მიუხედავად, რომ ქართველთა ჯანსაღი ნაწილი და პირველ ყოვლისა, ღვთისმსახურნი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ამგვარი „რესპუბლიკის“ ჩვენს ტერიტორიაზე განთავსებას, ხელისუფლებამ (ალბათ, გარეშე ძალების ზეწოლის გამო!) ყურად არ იღო ხალხის ხმა და „აღიარა“ — კაზანტიპის რესპუბლიკის „ლეგიტიმურობა.“

ჩვენო ძვირფასო ხელისუფლებავ, პატივცემულო პოლიტიკოსებო, დიპლომატებო და მისთანანო, თქვენ ცოცხალი თავით არ გინდათ ჩვენი ძირძველი, თუმცა, სეპარატისტი ძმების — აფხაზების რესპუბლიკის აღიარება ჩვენს საერთო ტერიტორიაზე და ჩვენს სამკვიდრო მამულში ცხრა მთის იქიდან ჩამოთრმეული ჩათლახების რესპუბლიკის აღიარებას არ ერიდებით? აფერუმ, თქვენს ქართველობას!

ხელისუფლება შეიძლება შევიცოდო კიდეც: შინაური და გარეშე ანტიქართული ძალების შიშით რომ არის დამფრთხალი და, ალბათ, ამიტომ ხმის ამოუღებლად აღიარა კაზანტიპის რესპუბლიკა. აი, კაზანტიპის იდეის იმ აქტივისტებზე რა ვთქვა, რომლებითაც სავსეა ეს ჩვენი ვითომ ქართული ტელევიზიები! ზოგი მათგანი ფულით (გრანტებით, ანუ ძღვენით) არის მოსყიდული, ზოგი კი შინაგანი ბუნებითაა ასეთი, თუმცა, ძღვენის ჭამაზე უარს არც ისინი ამბობენ. ისე, რომ ქართული ტელევიზიები, მეცირე გამონაკლისის გარდა, ძღვენიჭამიათა ტელევიზიებია.

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენს ეროვნულ სატკივარზე მსჯელობისას ერთობ ვერიდები ამა თუ იმ ფაქტის საილუსტრაციოდ კონკრეტული პიროვნებების დასახელებას. ეს იმიტომ, რომ ჩემი მიზანია ნეგატიური მოვლენის დაგმობა, მისი ნამდვილი შინაარსის გამოაშკარავება და არა ამ მოვლენათა გზააბნეული მონაწილეების პერსონალიზაცია. ამჯერად ასე ვეღარ მოვიქცევი, რადგან უკვე აშკარა გახდა რომ საქმე გვაქვს არა განსხვავებულ მოსაზრებებთან, თუნდაც ზნეობრივ პოზიციებთან, რის მიმართაც ტოლერანტულ საზოგადოებაში შემწყნარებლური დამოკიდებულება უნდა არსებობდეს, არამედ აშკარა და უხეშ ინტელექტუალურ და ზნეობრივ ძალადობასთან, რასაც ნამდვილი კაცები ვერასოდეს შეეგუებიან.

საოცარი და არაბუნებრივი ის არის, რომ უბადრუკი უმცირესობა ძალადობს ჯანსაღ უმრავლესობაზე, რადგან ფული და, ცხადია, საინფორმაციო საშუალებანი — ინტელექტუალურ-ზნეობრივი ძალადობის ძლიერი იარაღები მათ ხელშია. საქართველოში კი მოღალატეებს რა გამოლევს, რომლებიც ფულის გულისთვის ჩათლახობაზეც არ იტყვიან უარს.

აი, მაგალითად, **„კაზანტიპის რესპუბლიკის“ საზეიმო გახსნის კვირაძალზე სატელევიზიო არხმა „მაესტრომ“ ხალხისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად ე.წ სატელევიზიო დებატები მოაწყო: ერთ მხარეს დასვა, კაზანტიპის ჩათლახობის მომხრე ორი სუბიექტი, მეორე მხარეს მისი მოწინააღმდეგენი — ჭეშმარიტი ხელოვნების წარმომადგენლები. ჩართვაში მოწვეული იყო სასულიერო პირიც, თუმცა, ეკლესიის პრინციპული პოზიცია ისედაც ცნობილი იყო საზოგადოებისათვის, მაგრამ მის მოწვევას მზაკვრული მიზანი ჰქონდა... არავითარი დებატები იქ არ გამართულა და ვერც გაიმართებოდა, რადგან ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ ჩათლახობა და კულტურა. განა შეიძლება მათ შორის დიალოგი გაიმართოს, თუნდაც მწვავე და უკომპრომისო?** არა, არ შეიძლება, რადგან ერთ მხარეს არავითარი ზნეობრივი ღირებულება არ გააჩნია, მეორე მხარე კი სწორედ ზნეობრივ ღირებულებებზეა დაფუძნებული.

ერთი რუსული ანდაზაა ასეთი: თავხედი ყეყეჩი ტანკზე უარესიაო. ამ ყეყეჩს მუშტი თუ არ უთავაზე ცხვირპირში, ტანკივით გადაგთელავს, რა ზნეობრივი არგუმენტიც უნდა დაუხვედრო წინ. ამ დებატების მონაწილე კულტურულმა და ზნეობრივმა მხარემ თავიანთი თავშეკავებითა და კორექტული საქციელით სათარეშო ასპარეზი მისცა ჩათლახობასა და მასზე აღმოცენებულ თავხედობას, რითაც შეურაცხყოფა მიადგა უამრავ მაყურებელს, რომელსაც არანაირი საშუალება არ აქვს ალიყური აჭამოს ეკრანზე „გაბლატავებულ“ ნაძირალებს.

კაზანტიპის თავგადაკლულმა მუსიოკოსმა და მომღერალმა მომხრემ სტეფანემ რა თქვა, თუ იცით? ვინც კაზანტიპის ფესტივალის საქართველოში მოწყობის წინააღმდეგია, უკულტურო, ჩამორჩენილი და ბნელი ადამიანიაო. ასე თქვა ნამდვილად. მის პირისპირ მჯდომი შესანიშნავი მომღერალი სიბრაზისაგან კინაღამ დაიხრჩო, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა უთხრა, აქ რომ არ ვიყოთ, საკადრის პასუხს გაგცემდიო თუმცა იქვეც გასცა ერთობ თავშეკავებული პასუხი.

ამის შემხედვარეს, ჯაბა იოსელიანის ერთი, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი გამონათქვამი გამახსენდა: დემოკრატია ლობიოობა არ გეგონოთო! მართლაც! სტეფანესა და მის კოლეგა ჟურნალისტს (რომლის გვარ-სახელი არც მანამდე და არც მის შემდეგ არ მსმენია) პირდაპირ უნდა უთხრა, რასაც ობიექტურად იმსახურებენ: ანუ მარცხენა ყბაში რომ გაგარტყან, მარჯვენა კი არ უნდა მიუშვირო, არამედ შენც უნდა გლიჯო ყბაში.

იმ ვიღაცა ჟურნალისტმა ქალმა სულ აიღო თავზე ხელი და სიტყვის თქმა არ აცალა დარბაისლურად მოსაუბრე სასულიერო პირს. მღვდელმა თავისი მდგომარეობის გამო არ იკადრა ისეთივე პასუხი გაეცა ქალბატონისთვის და „ოპონენტმა“ მაყურებლის თვალწინ წაღმა-უკუღმა „აბურთავა“ საკუთარი მოკრძალების მსხვერპლი.

ახლა სტეფანესა და იმ ჟურნალისტს ქალბატონს ვეკითხები: მე ვარ ჩამორჩენილი და უკულტურო, ბნელი და უგემოვნო, თქვენ კი კულტურული, პროგრესული და გემოვნებიანი ადამიანები ბრძანდებით? პედერასტობა და ჩათლახობა, ნარკომანია და მამათმავლობა კულტურა და პროგრესი გგონიათ და თქვენ ამ „პროგრესის“ აქტიური მონაწილენი ხართ, არა?

ახლა ხომ დაინახეთ, რომ თქვენი კაზანტიპი სინამდვილეში კაზანტრუპი ყოფილა: 50000 ტურისტ მოქალაქეს ელოდით და მთელი მსოფლიოდან მხოლოდ 12 ათასამდე ძლივს მოიყარა თავი. ქართველები კი, მადლობა ღმერთს, არ აჰყვნენ ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეობიდან გაპანღურებულ ამერიკულად „განათლებულ“, სიგუას, რომელიც მისი აქტიურად მხარდაჭერილი იდეის ჩაფლავების მიუხედავად, თავს მაინც ბედნიერად თვლის, რომ მისი ოცნება ახდა და მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულებთან ერთად გალაღდა 10 დღის განმავლობაში.

ერთი სიტყვით, ჩემთვის, „კაზანტიპის რესპუბლიკის“ ქართველი მოქალაქე „ტრუპია“ და აწი მათი მომავალი არ მაინტერესებს. მე ის მაწუხებს, რომ ჩათლახობა გადამდებია და არ ვიცი, როგორ ავარიდო ჩემი და სხვისი მოზარდები ამ სოციალურ ჭირს. არა და, ჩათლახობა მხოლოდ „კაზანტიპის რესპუბლიკაში“ როდი ხდებოდა...

მთელს ცივილიზებულ სამყაროში, სადაც მმართველობის დემოკრატიული ფორმებია დამკვიდრებული, არსებობს სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიები. ოპოზიციური პარტიები კრიჭაში უდგანან სახელისუფლო პარტიებს, აქვთ საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა კონცეფციები და შესაძლოა იმგვარად რადიკალურად იყვნენ განწყობილნი, რომ პარლამენტში სახელისუფლებო პარტიის არც ერთ პროექტს არ მისცენ ხმა, მაგრამ სად, რომელ სახელმწიფოშია ის, რომ ოპოზიციას სისხლის სამართლის კოდექსი და სასამართლოს გადაწყვეტილება უგულებელყოს? რომელში და ჩვენს სახელმწიფოში! როდის? ახლახანს!

ჩვენ კი არა, მგონი ნახევარმა მსოფლიომ გაიგო უკვე, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მძიმე დანაშაულებშია ბრალდებული და სასამართლომ მას დაუსწრებლად აღმკვეთ ღონისძიებად შეუფარდა პატიმრობა. ამის შესაბამისად გამოცხადდა ძებნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; ალბათ, მალე წითელი ცირკულარით მთელ მსოფლიოში დაუწყებენ დევნას. ამ დროს რას შვრება საპარლამენტო ოპოზიცია? პურმარულით დაზურგული მიდის დევნილ დამნაშავესთან შესახვედრად საქართველო-თურქეთის საზღვრის იქითა მხარეს, სარფის მიდამოებში. შეხვდნენ კიდეც და კაი პურიც ჭამეს ძებნილ ექსპრეზიდენტთან ერთად (თამადა, როგორც თქვეს, ოქროპირი წერეთელი ყოფილა).

რა არის ეს, თუ არა ჩათლახობა?

ვინმე შატა-ბუტა ახალგაზრდას, რომელსაც თავის დღეში არაფერი მოუპარავს, საჯაროდ რომ თქვას, ქურდული წესების პატივისმცემელი ვარო, რამდენიმე წლით ციხეში ამოაყოფინებენ თავს. ჩვენი ოპოზიციონერი პარლამენტარები კი ათეული მილიონი ლარის მითვისებაში ბრალდებულ (არა ეჭვმიტანილ, არამედ ბრალდებულ!) ძებნილთან ერთად ქეიფობენ და ვითომც არაფერი!

ის მაინც თქვას ამ მამაცხონებულმა ხელისუფლებამ, ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა არა მარტო სახელმწიფო საზღვარს, არამედ ზნეობრივ ზღვარსაც გადააბიჯესო.

არ ამბობენ და ამიტომაც არის ჩათლახობის ზეიმი საქართველოში. ასე თუ გაგრძელდა, ხვალ უარესი იქნება!

როდემდე ვუყურეთ ამ მახინჯი ანტიქართველების სიფათებს ტელეეკრანებზე და ვისმინოთ მათი მახინჯი აზრები? არ აივსო განა ქართველ მამულიშვილთა მოთმინების ფიალა? თუ მუხრან მაჭავარიანის პათოსით შევძახოთ: „გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფიალას!“.

არა! უნდა დაიმსხვრეს ასეთი ფიალა, თუკი საერთოდ არსებობს იგი!

ზურაბ ცუცქირიძე

„ისლამის სახალიფო“ – სერიოზული საფიქრალი

სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე შექმნილი „ისლამის სახალიფო“, დღითი დღე აფართოებს საკუთარ „პოპულარობას“ და გავლენას არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოში. ამ „სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე გადასახლების სურვილი ბევრმა გამოთქვა, განსაკუთრებით რეგიონის მოსახლეობამ, გარდა ამისა, ევროპაში მცხოვრებმა მუსლიმანებმა.

ხალიფა იბრაჰიმ აბუ ბაკრ ალ-ბაღდადიმ თავის პირველ გამოსვლაში მოუწოდა მსოფლიო მუსლიმანებს გადასახლდნენ სახალიფოში. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მოწოდებას დადებით პასუხს შეაგებებენ იმ ქვეყნების მოსახლეობაც, სადაც იგრძნობა მიწის ნაკლებობა, მაგალითად პაკისტანი. სახალიფოში უკვე გადასახლდნენ მაროკოელები, ჩინელები, არაბები, ევროპელები. როგორც ოფიციალური წყაროები აცხადებენ – ათეულ-ათასობით ოჯახი.

ერთობ სწრაფი ტემპით შექმნილი „მუსლიმური სახალიფო“ სერიოზულ საფიქრალს უჩენს აშშ-ს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ვინაიდან „სახალიფოს“ ტერორისტულ ძალებში მეომარი ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მათი მოქალაქეებია. ტერორისტების „სამშობლოში“ დაბრუნება უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. ამიტომაც, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კემერონმა, ბრიტანეთის პარლამენტში გამოსვლის დროს, განაცხადა, რომ ტერორისტების დაბრუნების შემთხვევაში, მათ საზღვარზევე ჩამოართმევენ პასპორტებს.

გერმანიის კანცლერმა მერკელმა ბუნდესტაგში გამოსვლისას განაცხადა, რომ გერმანია იარაღს მიაწვდის ერაყის ქურთების ავტონომიის სამხედრო ძალებს „პეშ მერგას“, რათა გაუადვილოს ბრძოლა „ისლამურ სახალიფოს“ ტერორისტებთან.

მსგავსი განცხადება პირველია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. გერმანიას ამ ხნის განმავლობაში ომში ჩართული მხარისთვის საბრძოლო იარაღი არასოდეს მიუწოდებია. გერმანიის ხელისუფლებასაც თავისი აწუხებს – „სახალიფოს“ სამხედრო ძალებში ასეულობით გერმანიის მოქალაქეა.

სულ ახლახან, საუდის არაბეთის მონარქმა აბდალამ დაბეჯითებით განაცხადა – თუ ამერიკა-ევროპა დროულ პასუხს არ გასცემს „სახალიფოს“ ექსპანსიონისტურ გეგმებს, ტერორიზმი ევროპა-ამერიკაში გავრცელდება.

მაინც, რა ღონისძიებას უნდა მიმართოს დასავლეთმა, მათ შორის აშშ-მა „ისლამური სახალიფოს“ შესაჩერებლად?

უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ძალის გამოყენებასო, – იტყვიან „მცოდნე სპეციალისტები“.

„ისლამური სახალიფო“ – უფაქიზესი თემაა და მისი იარაღით მოთვინიერება გაჭირდება. აკი ბრძანა ამერიკის პრეზიდენტმა ობამამ, „სახალიფოსთან“ ბრძოლა ხანგრძლივი და რთული იქნებაო.

წინა წერილში აღვნიშნე, რომ „ისლამური სახალიფოს“ შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის აშშ-ს. სწორედ, ეს ქვეყანა აწვდიდა სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის წინააღმდეგ მებრძოლ ტერორისტულ დაჯგუფებებს, მათ შორის, „ალ-ქაიდას“ ფილიალს „ან-ნუსრას“ იარაღს, ფულს, სამხედრო სახის ინფორმაციას. სწორედ აშშ-ს სამხედრო სპეციალისტები უტარებდნენ ტერორისტებს წვრთნებს, ისე, როგორც თავის დროზე „თალიბანსა“ და „ალ-ქაიდას“.

აშშ-ს მიერ გაწვრთნილი და დაპურებული „ისლამური სახალიფო“ არა მარტო სირიის ხელისუფლებას დაუპირისპირდა, არამედ აშშ-ს, ევროპის სახელმწიფოებს, ყველას, ვინც არ იზიარებს „სახალიფოს“ პროექტს – „დიდ სახალიფოს“ – ჩინეთიდან ესპანეთამდე.

კარგად ორგანიზებულმა სამხედრო-ტერორისტულმა ძალამ ელვის სისწრაფით გაავრცელა საკუთარი გავლენა სირია-ერაყის ტერიტორიებზე და უდიდესი საფრთხე შეუქმნა იქ მცხოვრებ ქრისტიანებს, იეზიდებს, შიიტებს, ალავიტებს. ბევრი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა.

ერთადერთი, რაც ობამამ და მისმა ადმინისტრაციამ მოიფიქრეს მძიმე ვითარებაში, არის ქურთების საჯარისო ფორმირება „პეშ-მერგას“ იარაღით დახმარება და „სახალიფოს“ ტერიტორიის დაბომბვა. რა ხანია დაბომბვები მიმდინარეობს. ამ საქმეში ვაშინგტონმა უკვე ნახევარი მილიარდი დოლარი დახარჯა, მაგრამ თვალსაჩინო წარმატება არ ჩანს.

მართალია, ქურთულმა „პეშ-მერგამ“, შეუპოვარი ბრძოლებით, „სახალიფოს“ ხელიდან გამოგლიჯა დაპყრობილი ქურთული ტერიტორიების ნაწილი, მაგრამ ეს წარმატება ზღვაში წვეთია იმ უსერიოზულეს თავსატეხთან, „მუსლიმური სახალიფო“ რომ იწვევს.

და მაინც რასთან გვაქვს საქმე, რას წარმოადგენს „ისლამური სახალიფო“ და რამდენად საშიშია ცივილიზებული სამყაროსთვის მისი არსებობა?

ისლამსა და ქრისტიანობას შორის სისტემური ურთიერთდაპირისპირება საერო სახელმწიფოში, ისეთში, როგორიც ერაყი იყო აშშ-ს შეჭრამდე, ასე თუ ისე, რეგულირდებოდა. ყველა თავისუფალი იყო აღმსარებლობაში. აშშ-ს აგრესიამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა არა მარტო სუნიტებისა და შიიტების მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების ახალი ძალით აფეთქებას, არამედ ისლამისა და სხვა რელიგიების ბრძოლას ერთმანეთის წინააღმდეგ.

სირია-ერაყის ტერიტორიაზე შექმნილ „ისლამურ სახალიფოში“ ქრისტიანებს შემდეგ არჩევანს სთავაზობენ - ან მიიღონ ისლამი, ან გადაიხადონ ხარკი „ჯიზა“ – სპეციალური გადასახადი, „სახალიფოს“ მხრიდან დაცვისთვის. თუ მათ არც ისლამის მიღება სურთ და არც „ჯიზას“ გადახდა – დატოვონ ტერიტორია, სადაც ისინი ცხოვრობენ, რათა არ მოიკლან.

„სახალიფოს“ დედაქალაქ რაკში (სირია) გამოიცა დეკრეტი შემდეგი სათაურით: „ქრისტიანთა უსაფრთხოების დაცვის შეთანხმება“, რომელსაც ძალა აქვს „სახალიფოს“ მთელს ტერიტორიაზე. დეკრეტში ხაზგასმულია გადასახადის თაობაზე – შეძლებული ქრისტიანი მამაკაცისთვის 17 გრამი ოქრო, საშუალო შემოსავლის მქონეთათვის – 17 გრამის ნახევარი, ხოლო ღარიბებისთვის – მეოთხედი.

„სახალიფოს“ ტერორისტთა მიერ ქ.მოსულის აღების შემდეგ, ქრისტიანებმა ერთჯერადად გადაიხადეს 2 მილიონი დოლარი. მიუხედავად ამისა, ქრისტიანები მაინც იდევნებიან საცხოვრებელი ადგილებიდან როგორც სირიაში, ისე ერაყში. მათი საკუთრება, მათ შორის საქონელი, გადადის „სახალიფოს“ კუთვნილებაში. „სახალიფოს“ ვილაიეთებში გახსნილია ქონების აღმნუსხველი სახლები ჩამორთმეული ქონების აღსარიცხად.

ახლო აღმოსავლეთში არის რელიგიური ჯგუფები, რომლებიც ისეთი „პრივილეგიებით“ ვერ სარგებლობენ, როგორც ქრისტიანები. მათზე არ ვრცელდება ხარკი. ესენია – იეზიდები, ალავიტები, დრუზები. მათ უყენებენ უფრო მკაცრ მოთხოვნებს – უარი თქვან თავიანთ აღმსარებლობაზე, მიიღონ ისლამი ან სიკვდილი. ამ ჯგუფებს არ აწყობთ ულტიმატუმის მსგავსი გადაწყვეტილება, ამიტომაც ან გარბიან თავიანთი სახლებიდან, ან იარაღით იბრძვიან ექსტრემისტული ისლამის წინააღმდეგ.

არაბული ცნობების მიხედვით, მათ მიერ მიტოვებულმა სახლებმა და ბინებმა 50000 გადააჭარბა. გარდა ამისა, მათ დატოვეს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი, მაღაზიები, სახელოსნოები. მიტოვებულ სახლებსა და უძრავ-მოძრავ ქონებას „ისლამური სახალიფო“ არიგებს იქ ჩასული 80 ქვეყნის ჯიჰადისტთა და მათი ოჯახის წევრთა შორის – ოთხი მეხუთედი – ჯიჰადისტებს, ერთი მეხუთედი – „სახალიფოს“. ცოტა რამ ადგილობრივ მოსახლეობასაც ხვდება, ცხადია, სუნიტებს, რომლებმაც ერთგულება შეჰფიცეს „სახალიფოს“.

„სახალიფოს“ ტერიტორიაზე სირიისა და ერაყის გადასახადები გაუქმებულია, მათ ნაცვლად შემოღებულია „ზაკიატი“, ყველა მუსლიმანის გადასახადი ღარიბთათვის. თანხა გაცილებით ნაკლებია ადრე არსებულ გადასახადებზე.

„სახალიფო“ ღარიბებს უფასოდ ურიგებს კვების პროდუქტებს, თხევად გაზს (ბალონებში). ამ კამპანიას პროპაგანდისტული დატვირთვაც აქვს როგორც ინტერნეტით, ისე ტელევიზიით. „სახალიფო“ სისტემატურად აკლებს ფასებს პირველი მოთხოვნილების საგნებზე, გარდა ამისა – პურზე, ფუნთუშეულზე, ფქვილზე. „სახალიფო“ არემონტებს სახლებს, ელექტროგადამცემ ხაზებს და სხვა.

„სახალიფო“ საკუთარი კონტროლქვეშ აქცევს სირია-ერაყის ენერგეტიკულ და წიაღისეულ სიმდიდრეებს. უპირველეს ყოვლისა – ნავთობს, რომელსაც, მსოფლიო ფასებზე, ათჯერ იაფად ყიდის თურქეთსა და იორდანიაში. ეს უკანასკნელი ყოველდღიურად ყიდულობს 20000 ბარელ ნავთობს.

„სახალიფო“ აკონტროლებს ნავთობით მდიდარ სირიის დეირ ეზორს. სირიის მთავრობა იძულებულია, იყიდოს „სახალიფოსგან“ საკუთარი ნავთობი.

„სახალიფომ“ დაიკავა ერაყის ქურთული ავტონომიის ის რაიონები, რომლებიც მდიდარია ნავთობით. „სახალიფო“ მთლიანად აკონტროლებს სირია-ერაყის წყლის რესურსებს და წყლის რეზერვუარებს ტიგროსისა და ევფრატის აუზებში. გარდა ამისა, „სახალიფოს“ ხელშია სირიის ელექტროსადგურები, რომლებიც აშენებულია საბჭოთა კავშირის მიერ. „სახალიფოს“ ხელში აღმოჩნდა ხორბლის დიდი მარაგი და მოსულის ბანკში არსებული 500 მილიონი დოლარი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, „სახალიფო“ კარგად გრძნობს თავს. რაც შეეხება ე.წ. პოლიტიკას, „სახალიფოს“ ნდობა გამოუცხადეს ისეთმა ექსტრემისტულმა ისლამურმა დაჯგუფებებმა, როგორიცაა „ანსარ აშ-შარია“ ლიბიაში, „ალ-ქაიდა“ ისლამურ მაღრიბში და იემენში, „ბოკო ჰარამი“ ნიგერიაში. ყველა მათგანი „სახალიფოს“ ურიცხავს საკუთარი შემოსავლის მეხუთედს.

საინტერესოა ირანულ გაზეთ „თეჰრან თაიმს“-ში გამოქვეყნებული სტატია შემდეგი სათაურით: „ისლამური სახალიფო – დამოუკიდებელი რეგიონული მოთამაშე თუ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ისრაელის სპეცსამსახურ „მოსადის“ პირმშო?“

„თუ აშშ-ს ჰგონია, რომ დაბომბვებით შეძლებს ვითარების გამოსწორებას, ცდება“, – წერს გაზეთში თურქეთის მმართველი პარტიის თავმჯდომარის მოადგილე მეჰმედ ალი შაჰინი.

„ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ (შემდგომში „ისლამური სახალიფო“) ჩამოყალიბება მოხდა 2003 წელს, ერაყში აშშ-ის შეჭრის შემდეგ. დაჯგუფებას მაშინ სათავეში ჩაუდგა არქიტერორისტი აბუ მუსაბა ალ-ზარკავი, რომელიც სიყვარულს ეფიცებოდა „ალ-ქაიდას“. 2006 წელს ეს ტერორისტი მოკლეს ამერიკელთა მასირებული დაბომბვით.

ზარკავის სიკვდილის შემდეგ ორგანიზაციის აქტიურობა შემცირდა, მაგრამ 2011 წელს, სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ წამოწყებულმა აგრესიამ, ეს ორგანიზაცია გააააქტიურა. ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა აბუ ბაქარ ალ-ბაღდადი, რომელმაც ახალი სახელი მისცა ორგანიზაციას - „ერაყის ისლამური სახელმწიფო“. ამ „სახელმწიფოსთან“ მჭიდრო კავშირები დაამყარა აშშ-მა და ყატარმა.

ცხადია, მათი მიზანი იყო სირიის მთავრობაზე „სახელმწიფოს“ ტერორისტების მისევა. მკითხველს ემახსოვრება სირიის მთავრობისა და ოპოზიციის მოლაპარაკებები. ისიც ემახსოვრება, თუ რა მრავალფეროვანი იყო ოპოზიცია და ისიც ემახსოვრება, რას ამბობდა კრემლი: ოპოზიციის მხარეს აშკარა ექსტრემისტი ისლამისტებია, რომლებთან მოლაპარაკება არაფერს მოიტანსო.

ამერიკელთა პასუხი ასეთი იყო: **„გამარჯვების შემდეგ (იგულისხმება ასადის დამხობა) ჯიჰადისტები ტრანსფორმირდებიან პოლიტიკურ მოთამაშეებად და თავიანთ წვლილს შეიტანენ დემოკრატიულ პროცესებში“.**

ყატარის ყოფილი ამირა ტელეკომპანია „ალ-ჯაზირაში“ გამოსვლის დროს (2011 წლის 7 სექტემბერი) აცხადებდა: „თქვენ დაინახავთ, როგორ გადაიქცევა ექსტრემიზმი სამოქალაქო ცხოვრების შემადგენელ ნაწილად“.

ასე, ყოველად უკონტროლოდ, აშშ-ის, ყატარის, საუდის არაბეთის, თურქეთის და ევროპის ქვეყნების ძალისხმევით შეიქმნა 50000-იანი მონსტრი, ტერიტორიაზე, რომელიც ბელგიისას უტოლდება. სირიის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია, რეაქციული სალაფიტების მეთაურობით, გარდაიქმნა სისხლიან მოძრაობად.

გაზეთი წერს, რომ „ისლამური სახალიფო“ პირდაპირ საფრთხეს უქმნის სირიას, ერაყს, ლიბიას, თურქეთს და საუდის არაბეთს. ამ უკანასკნელისთვის უმჯობესი იქნებოდა ირანთან საერთო ენის გამონახვა, რასაც ის არ აკეთებს. გაზეთი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ისლამური სახალიფო“ შეიძლება მართლაც იყოს აშშ-ს ცსსა და ისრაელის მოსადის პირმშო.

არსებობს ამერიკელი სენატორის მაკკეინისა და „სახალიფოს“ ხალიფას აბუ ბაქარ ალ-ბაღდადის ერთად გადაღებული ფოტოსურათიც. ირანის სპეცსამსახურების ინფორმაციით, ალ-ბაღდადი სინამდვილეში საიმონ ელიოტია, მოსადის ებრაელი აგენტი.

მიზანი პროექტისა იყო შეჭრა იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ემუქრებიან ისრაელს და ბიბლიური „დიდი ისრაელის“ შექმნა. თურქეთის პარტია „სამართლიანობისა და განვითარების“ თავმჯდომარის მოადგილის მეჰმედ ალი შაჰინის განცხადებით – „სახალიფოს“ დაბომბვები ვერ შეაჩერებს აშშ-სა და მისი გზააბნეული ევროპელი მოკავშირეების მიერ შექმნილ ქაოსს. ამერიკას ერთი გზა აქვს – შეამციროს ისრაელის სიონისტური რეჟიმის დახმარება, უარი თქვას სირიის რეჟიმის შეცვლაზე და თანაბარ პირობებში გამართოს მოლაპარაკება ირანთან – ახლო აღმოსავლეთის საკითხების ერთადერთ ძალასთან, რომელსაც შეუძლია რეალური დახმარების გაწევა.

ზემომოყვანილი ცნობები იმსახურებს ყურადღებას, მით უფრო – სიფხიზლეს, რამეთუ „სახალიფომ“ მუქარა არა მარტო ობამასა და ევროპას შეუთვალა, არამედ რუსეთის პრეზიდენტ პუტინსაც – სირიის ხელისუფლების დახმარებისთვის. ისლამისტები იმუქრებიან რუსეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღებით ჩეჩნეთში და კავკასიაში, რაც ერთობ შემაშფოთებელი უნდა იყოს ჩვენთვისაც – კავკასიაში აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორისთვის.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №224

„მოსკოვის დაპყრობის“ ამბავი

მედეა ჯაფარიძე

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ბათუმში, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ულამაზესი ქალბატონი გემზე ვიღაცას აცილებდა... ხელს უქნევდა და უღიმოდა. ყველა მას შესცქეროდა. მაშინ პირველად ვნახე ცხოვრებაში უკვე ცნობილი მსახიობი მედეა ჯაფარიძე.

ქართველი ქალისთვის ხომ მხოლოდ რაღაც ბიძგი და კიდევ, რაც მთავარია, რწმენაა საჭირო და შეუძლებელს შეძლებს. ამ რწმენითა და ბიძგით ჩვენი ქალიშვილები ერთბაშად ემსგავსებოდნენ მას... ემსგავსებოდნენ თმის ვარცხნილობით, მზერით, სახის იერით, სილამაზითაც... და მართლაც თითქოს ყველა იყო ლამაზი, ყველა ჰგავდა მას. რამდენი მსგავსი სილამაზე ამოიფრქვა მაშინ მისი წყალობით და მაინც, იგი ერთადერთი იყო. ქართული ტაძრის კედლიდან გადმოსული ანგელოსის მსგავსი.

ვიცით, უცხოელი მოგზაურები მუდამ გაოცებით წერდნენ ქართველ ქალთა სილამაზეზე. გვახსოვს უმწარესი ტკივილით ნათქვამი სიტყვები გრიგოლ ორბელიანისა ეკატერინე ჭავჭავაძის სიკვდილის გამო: „წავიდა ესეცა წარსულის დროის საქართველოს მშვენიერება, დედოფლად დაბადებული. ვინცა შეხედავდა, მაშინვე მდაბლად უნდა თავი დაეკრა... ბნელდება საქართველო.“

საქართველო, ჩვენდა იმედად, მერეც არ დაბნელებულა. კვლავ ნათობდა მშვენიერ ქალთა დედოფლური სილამაზით და დიდებულებით. მედეა ჯაფარიძე არა დედოფლური, არამედ ანგელოსური სილამაზით გვიზიდავს. მის ხელოვნებაში ყველაფერი მომხიბვლელია, თავისთავადი და უშუალო. მისი ბავშვური სული მალევე პოულობდა გმირისთვის შესაფერ ფორმას, სახეს. იგი, დახვეწილი თუ დაუხვეწავი, ძლიერი თუ სუსტი ხასიათებით, ის იყო, რაც თვითონ ბუნება.

არ გვავიწყდება მისი პირველი დიდი როლი შექსპირის „რომეო და ჯულიეტადან.“ ბავშვის ფართო თვალებით, მზის ულამაზეს სხივად ანთებული, მარადიული სევდისა და ტკივილის, მარადიული ერთგულების ნაზი სურნელით რომ ფეთქავდა. რა ახლოს მოდიოდა იგი ჩვენს გულებთან. უსუფთავესი, როგორც ზვარაკი. საჭირო იყო მხოლოდ ასეთი სიწმინდისა და სრულყოფილების მსხვერპლად გაღება, რომ ადამიანებში აღმდგარიყო ადამიანური, ის მთავარი, რაც სულისმიერი ტკივილით მოდის და გვეტირა, განვწმენდილიყავთ ამ ტირილით. ჯულიეტა – ეს იყო სიმართლე, რომელიც იმ წუთში, ახალგაზრდა მსახიობში, ნამდვილ, გარდასახულ ტკივილებს აღძრავდა. იგი თავისი ჯერ კიდევ ბავშვური, მშვენიერი და მართალი სულით, თავისთვისვე ქვეშეუცნობლად, ზიარს ჰყოფდა დიდ ნათელთან და ჩვენ გვწამდა: თვით ეს სრულყოფილი მშვენიერება სწორედ იმიტომ იყო მოსული ამქვეყნად, რომ ვერ ეცნოთ და რომ უსათუოდ დაღუპულიყო. ამ მსხვერპლით ადამიანებს უნდა ეგრძნოთ თავიანთი შეცდომა თუ დანაშაული.

მერე წლებმა ოსტატობა და გამოცდილებაც მოიტანა, მაგრამ მთავარი (ეს მე ღრმად მწამს) ის სულია, რომელიც თვითონ პოულობს სათანადო ფორმას და გამომსახველობას. ეს კარგად იგრძნობა მედეა ჯაფარიძეს თვით გმირების სურათებითაც კი.

* * *

ამ თითქოს უმწეო, ანგელოსურმა არსებამ, როგორც ამბობენ, იმ **დღეს „მოსკოვი დაიპყრო“. ამონაწერები შთაბეჭდილებებიდან: „თქვენ დღეს უჩვეულო სილამაზის საღამო გვაჩუქეთ. უჩვეულო სისუფთავის და ამაღლებული რომანტიზმის საღამო, ახალგაზრდები არ ვიცი, მაგრამ ჩვენ, ჭაღაროსნები, ისე განწმენდილებად, ისე კარგებად, კეთილებად და ახალგაზრდებად ვგრძნობთ თავს და ეს ყველაფერი თქვენი მიზებით.**

მსახიობის ცხოვრებაში ხშირადაა მძიმე, დაუმსახურებელი დღეები, წლებიც კი. არც თქვენ ყოფილხართ მოკლებული ასეთ ხვედრს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დარჩით ახალგაზრდად, მაინც დარჩით ისეთივე ლამაზი, ისეთივე მომხიბვლელი და კამკამა, როგორც წლებისა და წლების წინათ იყავით. მე ვხედავდი ახალგაზრდა, სუფთა, გასაოცარ მედეას, გასაოცარს! მე მინდა, გითხრათ მადლობა ამ სილამაზისთვის, ამ სინათლისთვის. თქვენ დღეს ისევ გვაგრძნობინეთ, რომ არსებობს ქვეყნად ამგვარი სილამაზე, ნამდვილი სილამაზე, მისი მაღალი გაგებით. მდაბლად ვხრი თავს თქვენს წინაშე.“

ელენა გოგოლევა.

„თქვენ ლაპარაკობდით კეთილ ადამიანებზე, რომლებიც წავიდნენ, ლაპარაკობდით ისე კეთილად, ისე უბრალოდ, ისე... არ ვიცი სხვაგვარად ამას კიდევ რა ჰქვია, მაგრამ გასაოცარია. გმადლობთ. ეს სასწაული იყო, რაც თქვენ ამ საღამოს გააკეთეთ.“

სერგეი ობრაზცოვი.

„ეს არც მხატვრული სიტყვის საღამო იყო, არც მოგონებებისა, არც შემოქმედებითი... ეს იყო მშვენიერი, ღრმა, გულწრფელი და უკეთილშობილესი სულის აღსარება ადამიანისა, რომელსაც უყვარს ყველა, უპირველესად, თავისი სამშობლო და პოეზია.“

მიხეილ ულიანოვი.

„თქვენ იცოდით იმის ფასი, რასაც კითხულობდით. მსახიობებისთვის ეს თითქმის მიუღწეველია. ჭკვიანი ბევრია, მაგრამ მათ რაღაც უშლით, ღალატობთ... და რჩება თეატრი... ხშირად მშვენიერი, მაგრამ... თქვენ ღირსეულად ჩამოხვედით მოსკოვში, გვიჩვენეთ არა განცდანი, არამედ ღვთიური ჰარმონია და გაიმარჯვეთ. თქვენ დაიპყარით მოსკოვი. ბედნიერება და კეთილი სიმშვიდე თქვენს მშვენიერ, დამატყვევებელ სულს.“

ი. კატაევა.

„ჯულიეტა“ – მედეა ჯაფარიძე

„ო, ცოტაოდენად მაინც რომ შეიძლებოდეს ლექსებში თქვენი შესანიშნავი თამაშის, თქვენი ნიჭიერების, თქვენი სილამაზის ასახვა“ – ასე წერდა იმ თოვლიან საღამოს „მოსკოვის დამატყვევებელით და დამპყრობელით“ აღტაცებული პოეტი **ანდრეი ვოზნესენსკი.**

* * *

აქაც, თბილისშიც გვინახავს მისი პოეზიის საღამოები... მაგრამ ჩვენსას, საკუთარს, მით უმეტეს ისეთს, რაც ბუნებრივად ერწყმის აქაურ ცხოვრების მდინარებას, აღტაცებით იშვიათად ვხვდებით. გვწამს, რომ ეს ყოველივე ასე და მხოლოდ ასე უნდა იყოს. უცხო თვალი უეცრად ხედავს განსხვავებულს, არამისეულს, მაგრამ მაინც ახლობელს... არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კითხულობს ახმატოვას ან ცვეტაევას ანაც ბლოკს, ან პასტერნაკს, ან ქართველ პოეტებს: გალაკტიონს, ლეონიძეს, ტიციანს, პაოლოს...

დრო გავიდა და გვენატრება ამ საოცარი ადამიანით და ხელოვანით გამოწვეული ნამდვილი, კეთილი, გულწრფელი სიხარული, ისეთი, როგორც მას შეუძლია მოუტანოს ადამიანებს. თავისი არსებობით, ხელოვნებით, პოეზიის სიყვარულით და მაინც, ეგებ ზოგჯერ დაუმსახურებელი ტკივილის მიუხედავად, მასაც უბრუნდება ეს სიხარული.

აი, პასტერნაკის წერილი, უფრო ზუსტად, წარწერა წიგნზე: **„ძვირფას შემოქმედებით წყვილს, მედეა ჯაფარიძესა და რეზო თაბუკაშვილს, ხელოვნებაში ისე უნდა გადაეშვა, როგორც ზღვაში, უნდა ბოლომდე განიძარცვო და დაიხარჯო, ჩაყვინთო და კვლავ გამოსცურო. მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ ნამდვილ სიხარულს. თქვენ ორივენი ასეთები ხართ, მედეა! ამიტომაც მუდამ სიყვარულით მოგიგონებთ.“**

დღეს სხვა რეალობაა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც, შეიძლება ითქვას, ბრძოლის სტრატეგიაც და ტაქტიკაც შეიცვალა. ის დრო გავიდა, როცა ოდენ სილამაზით და ნიჭიერებით იპყრობდნენ მოსკოვს... და დღეს არც ამგვარად წერენ რუსეთის გაზეთები, როგორც მაშინ, მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი საღამოს შემდეგ: **„თქვენ შეძელით იმ წლების სურათისა და ატმოსფეროს გადმოცემა, როცა ცხოვრობდნენ, ქმნიდნენ და დაიღუპნენ მშვენიერი ქართველი პოეტები. თქვნს სიტყვებს შორის იკითხება მთელი იმდროინდელი, ნიჭიერი, შთაგონებული, შემომქმედი ქართველი ინტელიგენციის ტრაგედია, რომელმაც დიდი მხატვრული მემკვიდრეობა დატოვა. ეს იყო ძალიან დიდ, მნიშვნელოვან თემაზე საუბარი, იმ თემაზე, რომელიც ღრმად ამაღელვებელია და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ.“**

მედეა ჯაფარიძე და ელენა გოგოლევა

თინათინ კოგალაძე

უშბა საჩუქრად ავსტრიელი ქალბატონისთვის

გაზეთი „Brusseler Zeitung“

ქალაქ მიუნხენის ალპების მუზეუმში, სპეციალურ შუშაში, ერთი სრულიად უჩვეულო ექსპონატია დაცული, რისი ანალოგიც ჯერჯერობით მსოფლიოში არ არსებობს. ეს გახლავთ კავკასიის მაღალი მთის – უშბის ნაჩუქრობის 1903 წლის 25 ივლისით დათარიღებული დოკუმენტი, რის მიხედვითაც, სვანეთის ეს ღირშესანიშნაობა ერთ ავსტრიელ ქალბატონს ეკუთვნის.

ეს თემა გერმანული სამყაროსთვის განსაკუთრებით აქტუალური მეორე მსოფლიო ომის დროს გამხდარა, როდესაც მესამე რაიხის ჯარები ჩრდილოეთ კავკასიაში შემოიჭრნენ და იალბუზზე ნაცისტური გერმანიის დროშა აღიმართა. ამ მოვლენათა კულმინაცია 1942 წლის შემოდგომაზე გათამაშდა. გერმანული პრესა ყოველდღიურად აქვეყნებდა სტატიებს, სათანადო რუკებით, მთელი კავკასიის შესახებ და ეს განიხილებოდა სამხედრო-სტრატეგიული მიზნით. რაიხის სარდლობა ყველა შემთხვევაში, წლის ბოლომდე მაინც, სტალინგრადის აღებასთან ერთად, მთელი კავკასიის დაპყრობას ელოდა. ბრძოლები მიმდინარეობდა ვლადიკავკაზთან, გროზნოსთან. სწორედ ამ პერიოდში ნაცისტური გერმანიის მიერ უკვე დაპყრობილ ბელგიაში გამომავალმა გაზეთმა **„ბრიუსელერ ცაიტუნგ“** 1942 წ. 24 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა სტატია, სათაურით, **„თავადი ჩუქნის უშბას“**, სადაც სრულიად უჩვეულო ისტორიაა მოთხრობილი.

გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან თარგმანს:

ბრძოლა კავკასიელი ხალხებისთვის მუდამ თაურელემენტი იყო, სისხლის აღება კი ერთადერთი ქმედითი გამოსასყიდი. ერთგულება იქ უმაღლეს სიქველედ განიხილება. ყველაფერი, რაც აქაურ ადამიანს ამოძრავებს, მისი ურთიერთობა ღმერთთან, ოჯახთან, მეგობართან თუ მტერთან ისევე, როგორც სიცოცხლესთან, ქორწინებასთან და სიკვდილთან, ყველაფერი ადათით და წესითაა მოგვარებული და არამც და არამც თვითნებობით ნაკარნახევი. სტუმართმოყვარეობა კავკასიელისთვის უწმინდესი მოვალეობაა.

ამ დიდებული სტუმართმოყვარეობის შესახებ იუწყებოდა ცოტა ხნის წინათ მიუნხენში მცხოვრები გერმანელი მთამსვლელი და მკვლევარი, დოქტორი ვილლი რიკმერ რიკმერსი. მიუხედავად იმისა, რომ 1903 წელს მისი მოგზაურობისას ეს მხარე უკვე რუსებს ეკავათ, რომელთა წინააღმდეგაც თავისუფლებისმოყვარე კავკასიელები სამოც წელზე მეტ ხანს თავზეხელაღებულნი იბრძოდნენ (ჯერ მეფის რუსეთთან, მოგვიანებით კი ბოლშევიკების სისხლიან ტერორთან, მილიონობით კავკასიელი დაიხოცა ან აყრილი იქნა მშობლიური მიწიდან), მკვიდრ მოსახლეობას წინაპართა ტრადიციები არ დაუკარგავს. ამხელა მსხვერპლის და იძულებითი მორჩილების მიუხედავად, კავკასიის მთებში მაინც შემორჩენილი იყო საკუთარ სახლში, როგორც ციხე-სიმაგრეში, გადარჩენილი ბრძენი და სულით-ხორცამდე დიდებული თავადის სახე.



ჩუქების დოკუმენტის უკანა მხარე ხელმოწერებით

თათარხან დადეშქელიანი

დოქტორი რიკმერი თავის ექსპედიციასთან ერთად ლაილაშიდან სვანეთს გაემგზავრა, რათა კავკასიის ულამაზესი და იმავდროულად ურთულესი მთა უშბა დაელაშქრა. ის ისეთივე მაღალი არ არის, როგორც იალბუზი, რომელზეც გერმანელმა „მთის მგლებმა“ ამას წინათ დიდი რაიხის დროშა აღმართეს; თავისი უმშვენიერესი ორი მწვერვალით უშბა „სულ რაღაც“ 4737 მეტრამდე მაღლდება. თავდაპირველად გერმანელმა მთამსვლელებმა სვანეთში ჯერ 3995 მეტრი სიმაღლის მთა დაიპყრეს, შემდეგ კი ეწერში გადავიდნენ.

მაშინ იქ თავად თათარხან დადეშქელიანის რეზიდენცია იყო, *სულ მცირედით დამოკიდებული რუსეთის მეფეზე. დადეშქელიანი გამოიყურებოდა, როგორც* ***ჩერქეზულ-სვანური სისხლის ძველი რაინდი,*** *რომელიც გარკვეულ დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ინარჩუნებდა. გერმანელი მთამსვლელები მისთვის აშკარად ძვირფასი და მეტად სასიამოვნო სტუმრები იყვნენ. მან ისინი მიიღო დიდი გულითადობით. სულაც არ გაძავდა ვიღაც მომხიბვლელ, ცბიერ ჯიგიტს ან წარსული დროების რომელიმე გმირს, რომელთაც დიდი სტუმართმოყვარეობის მიუხედავად, როგორც ამბობენ, ხშირი და დიდხნიანი სტუმრიანობა თავს აბეზრებდათ.*

თავადი დადეშქელიანი ცხენს მიაჯენებდა, რაღაცას ნაჩქარევად ესაუბრებოდა თავის მეგობარს და მეზობლებს, შემდეგ მეგობრულად მიესალმა სტუმარს და ბრძანა, გაეშალათ მდიდრული ვახშამი. მოულოდნელად მასპინძელ რაინდისა და სტუმრის თავთან ახლოს ტყვიების ხმა გაისმა, აქედან და იქიდან ტყვიებმა ეზოში ჩაიქროლეს. სტუმარი შეწუხდა და მოუსვენრობა დაეტყო, თითქოს ტყვიების აცდენა უნდაო. ამ დროს რაინდი სრულიად მშვიდად და უდარდელად გაგანგრძობდა სუფრასთან ჯდომას. გაოგნებულმა და ფერდაკარგულმა სტუმარმა ნაჩქარევად და უხერხულად ქათმის ბარკალი გადაიღო და იკითხა, რაში იყო საქმე, ნუთუ მის მასპინძელს სისხლის აღებით ემუქრებოდნენ... და ასეთი პასუხი მიიღო: ***„ეჰ, შენ ასე პატარა სროლაზეც წუხდები; მე კი ეს სულაც არ მაღელვებს, მით უმეტეს, რომ ახლა მე სულაც არ მესვრიან. ამას წინათ ჩემს მეზობელს, შემთხვევით, მისთვის მეტად ძვირფასი სტუმარი მოვუკალი და ახლა ის ისევ ცდილობს, როცა ჩემთან სტუმრიანობაა, სამაგიერო გადამიხადოს. თუმცა, შენ შეგიძლია მშვიდად იჯდე, ჯერ ხომ ტყვია არ მოგხვედრია!“...***

სტუმარი მალე წამოდგა თავისი ცხენის ნახვის მომიზეზებით, შემოახტა უნაგირს და ისე გაიქროლა, რომ ჩანდა უკან მობრუნებაზე არც იფიქრებდა...

...მაგრამ როგორც უკვე ითქვა, თავად თათარხან დადეშქელიანისთვის გერმანელი მკვლევარები და მთამსვლელები მეტად ძვირფასი სტუმრები იყვნენ და ღვინო კვლავაც ღვარად მოედინებოდა. მოზრდილი ხბო მოიყვანეს უცხოელი სტუმრების ფერხთით და დაკლეს. დაკლული ხბო გუთნით სამზარეულოში შეიტანეს, შამფურზე შეწვეს. ამასობაში თავადი და მისი სტუმრები ქათმებს და სხვა „პირველ საჭმელს“ მიირთმევდნენ და ორჯერ, ოცდაოთხსაათიანი განუწყვეტელი ნადიმის შემდეგ, ის დიდი ხბოც შემოეჭამათ. დიდ ბოცებში ჩასხმული კახური წითელი ღვინოც ნელ-ნელა შემოელიათ.

დოქტორ რიკმერის მოგზაურთა ამხანაგობაში იყო ერთი ავსტრიელი ქალიშვილი **სენჩი ფონ ფიკერი** ინსბრუკიდან (Cenci von Ficker), რომელიც მოგვიანებით ვენაში დოქტორ ზაიტცს მისთხოვდა. ეს გოგონა სახელგანთქმული ტიროლელი მთამსვლელის და ალპების მკვლევარის **ჰაინც ფონ ფიკერის** და იყო. თავადაც თვითნასწავლი და საკმაოდ გამოცდილი ალპინისტი. **კავკასიელმა თავადმა თათარხან დადეშქელიანმა თავისი სამფლობელოდან ამ მომხიბვლელ არსებას ულამაზესი მთა უშბა აჩუქა. თავად თათარხან დადეშქელიანის მიერ ეწერში, 1903 წლის 12/25 ივლისს საკუთარი ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული ჩუქების დოკუმენტი ინახება მიუნხენის ალპების მუზეუმში, სპეციალურ შუშაში.**

სენჩი ფონ ფიკერი

„ფროილაინ სენჩი ფონ ფიკერი ინსბრუკიდან იღებს როგორც საკუთრებას მთა უშბას, რისი შესატყვისი ასტრონომიული პუნქტია: 16º 19’ 25” 89 (უმაღლესი მწვერვალი)“. 43º 7’ 34” 62

ჩუქების საბუთს უკანა მხარეს დოქტორი რიკმერსი და ექსპედიციის წევრები, მოგვიანებით კი ჯონ ჰარისონ ვიგნერი და ორი კავკასიელი ამოწმებენ, რომ **თავადმა ტიროლელ ფროილაინს სენჩი ფონ ფიკერს მთა უშბა, როგორც საკუთრება გადასცა.**

ეს გახლდათ მართლაც რაინდული საჩუქარი. ტიროლელი ქალიშვილი ძალიან გაიტაცა სურვილმა, ახლა უკვე მის საკუთრებაში არსებული მთა დაეპყრო და დოქტორ რიკმერის ხელმძღვანელობით ექსპედიციაში გაემართა 1903 წლის 19-22 ივლისს.

ამ მსვლელობის დროს ერთ-ერთი მთამსვლელი დაშავდა, გონება წაერთვა, რის გამოც მთამსვლელები იძულებულნი იყვნენ ლაშქრობა შეეწყვიტათ. სწორედ რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ერთმა გერმანულმა ჯგუფმა დაიპყრო უშბა.

ამ უაღრესად საინტერესო ფაქტზე, რასაც გერმანელი ჟურნალისტების აზრით, მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ ამზადებს ფილმს და მაყურებელი შემოდგომის მიწურულს იხილავს.

Ein Fürst verschenkt den Uschba

Wie die tirolische Jungfrau zu einem kaukasischen Berg kam

მასალა მოამზადა
ზვიად მიქელაძემ.

P. S. სურათზე, რომელსაც „კვირაძალს საკითხავში“ ვაქვეყნებთ, უშბის ავსტრიელი ე.წ. მეპატრონე, ქალბატონი სენჩი ფონ ფიკერი უკვე ხანდაზმული გახლავთ. გარდაიცვალა 1956 წელს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა ისე, რომ უშბის არც ერთ მწვერვალზე არ ასულა...

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოში ნატო საწვრთნელ ცენტრს შექმნის

მიუხედავად **იმისა, რომ უელსში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტზე საქართველო არ მიიღებს ნატოში წევრობის მოქმედების გეგმას, ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ საქართველოს შესთავაზებენ ნატოსთან დაახლოების ღონისძიებათა მნიშვნელოვან პაკეტს.** საკითხი, კერძოდ, შეეხება ერთობლივი სწავლების მოწყობას საქართველოს ტერიტორიაზე ალიანსის პარტნიორების მონაწილეობით, აგრეთვე საქართველოში რეგიონალური საწვრთნელი ცენტრის შექმნას.

„განზრახული გვაქვს გავაუმჯობესოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების უნარი იქონიოს ურთიერთმოქმედება ნატოს შეიარაღებულ ძალებთან, მათ შორის საქართველოს მონაწილეობაც ნატოს სწავლებებში. შესაძლებელია, სამხედრო სწავლებები მოეწყოს საქართველოში, განსაკუთრებით ასეთ სწავლებაში ნატოს პარტნიორების მოზიდვის მიზნით. ჩვენ ასევე განვიხილავთ საქართველოში სამხედრო სწავლების ცენტრის დაფუძნებას, კვლავ ნატოს პარტნიორების მოზიდვის მიზნით“, — განაცხადა რასმუსენმა ბრიუსელში პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ მაპის მინიჭების ნაცვლად, ნატო დაამუშავებს საქართველოსთვის „ღონისძიებათა საფუძვლიან პაკეტს“ ალიანსთან დაახლოებისათვის, რაც ცნობილი გახდა ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელების სხდომის შედეგების მიხედვით, რომელიც 25 ივნისს გაიმართა. როგორც მაშინ, საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, ანონიმურ წყაროზე მითითებით, ნატოს წევრი 28 ქვეყნიდან, დაახლოებით 12-მა, მათ შორის გერმანიამ და საფრანგეთმა, მხარი არ დაუჭირეს საქართველოსთვის მაპის მინიჭებას.

საქართველოს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილემ თეონა აქუბარდიამ ჩვენთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის არჩევანია, რაც თითქმის ერთი წელია დასტურდება ყველა განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით. აქუბარდიამ უარყო რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული რასმუსენის სიტყვების ინტერპრეტაცია იმის შესახებ, რომ ნატო საქართველოში სამხედრო ბაზას გახსნის. ქალბატონი აქუბარდიას სიტყვებით, საკითხი შეეხება სამხედრო სწავლების ცენტრის გახსნას, რომლის მიზანიცაა საქართველოს სამხედროების მომზადების ხარისხის ამაღლება ნატოს სტანდარტებამდე.

„ინტერესების დაცვა“

ელენე ხოშტარია, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი და ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცის საკითხებზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში, რასმუსენის მიერ დაპირებულ დაახლოების ზონების პაკეტთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ, როდესაც ვაფასებთ ნატოს გადაწყვეტილებას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ამოცანები, რაც საქართველოს აქვს. მისი სიტყვებით, ეს ამოცანებია — მიიღოს პოლიტიკური სიგნალი, რაც, ჯერ ერთი, ნიშნავს იმას, რომ საქართველო რეალურად მიდის ნატოს წევრობისაკენ და, მეორეც, რომ ნატო ზრუნავს საქართველოს უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის.

ხოშტარიას აზრით, წევრობის თვალსაზრისით, მაპის მინიჭება იქნებოდა „სერიოზული სიგნალი“, ამავე დროს პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია სხვა ფორმურილებებიც, რომლებიც დაადასტურებენ ნატოს რეალურ პოლიტიკურ ნებას საქართველოს ალიანსთან მიერთებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია დაველოდოთ ნატოს საბოლოო გადაწყვეტილებას სამიტზე, რომელიც გათვალისწინებულია სამხრეთ უელსში 4-5 სექტემბრისათვის.

„საფრთხე რუსეთის მხრიდან, რასაკვირველია, არსებობს, ბერკეტები შეიძლება მრავალგზის იქნეს აპრობირებული მოსკოვის მიერ — პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც, ესე იგი სიტუაციის ესკალაცია ოკუპირებულ რეგიონებში, მათი ანექსია, ბაზრის დაკეტვა, საშინაო პროცესებში ჩარევა და ასე შემდეგ რუსეთი აშანტაჟებს მთელ მსოფლიოს, მათ შორის ბირთვული იარაღით, მაგრამ არის ისტორიის გაკვეთილები, როდესაც ასეთ პოლიტიკას უარეს შედეგებამდე მივყავართ და ამჟამად საქმე სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს. ჩვენი პოლიტიკა ნაკარნახევი უნდა იყოს ჩვენი ინტერესით და არა იმით, თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს საპასუხოდ რუსეთმა. ნატოსთან დაახლოება არის წინაპირობა საქართველოს ინტერესების დაცვისათვის“, — თქვა ელენე ხოშტარიამ დასასრულ.

Voice of America

რუსეთის აგრესიის საპასუხოდ ნატო სწრაფი რეაგირების არმიას ქმნის

ნატოს წევრი შვიდი ქვეყანა — დიდი ბრიტანეთი, დანია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ნორვეგია და ნიდერლანდი სწრაფი რეაგირების ძალებს შექმნიან. ეს იქნება ამ სახელმწიფოების საპასუხო მოქმედება რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაზე. სწრაფი რეაგირების ძალებში მინიმუმ 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე გაერთიანდება. სწრაფი რეაგირების ძალებში გაერთიანების სურვილი გამოთქვა კანადამაც. სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაზე განცხადება უელსის სამიტის ფარგლებში სამიტის მასპინძელი, დევიდ კემერონი ააკეთებს.

სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის მიზანია, შეიქმნას სრულად მოქმედი არმიის შექმნის, დივიზიის მოცულობით, სწრაფი რეაგირებისთვის და მუდმივი სწავლების პროცესით. მის შემადგენლობაში იქნება საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო დანაყოფები. ძალებს მეთაურობას ბრიტანელები გაუწევენ.

სამხედრო ექსპერტების განცხადებით, ნატოს წევრი ქვეყნების მიერ სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს ალიანსში. თუმცა, პროცესის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა და ფართო აგრესიამ. საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი მუჩაიძე** for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია სწრაფი რეაგირების საშუალების მქონე ძალების განვითარებაზე, რაც ნატოს ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

„რაც შეეხება უკრაინას, მისთვის დახმარებას, ამაზე ცალკე ისაუბრა ბატონმა რასმუსენმა. მოგეხსენებათ, რომ სამიტზე იქნება ნატო-უკრაინის უმაღლესი დონის შეხვედრა. უკვე არის წინასწარი მონახაზი, თუ რა კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიონ უკრაინას, მათ შორის თავდაცვის შესაძლებლობის განვითარებისათვის. საუბარია ასევე ლოჯისტიკური განვითარებით დახმარებაზე. ძალიან მნიშვნელოვანი პაკეტია, რომელიც გააძლიერებს უკრაინის თავდაცვიუნარიანობას. ალბათ უკრაინისათვის გაიხსნება დასავლური ბაზარი წინ წასული თავდაცვის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ვიმედოვნებ, რომ მსგავსი რამ მოხდება საქართველოსთან დაკავშირებითაც“, — ამბობს გიორგი მუჩაიძე.

სამხედრო ექსპერტის **დავით სიხარულიძის** განცხადებით, ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღება უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და ღია სამხედრო აგრესიამ გამოიწვია. სიხარულიძე ვარაუდობს, რომ ეს იქნება სწრაფი რეაგირების ძალები, რომელთა განთავსება შესაძლებელი იქნება ძალიან მცირე დროის პერიოდში იმ ადგილას, სადაც ნატო ჩათვლის საჭიროდ. **„სწრაფი რეაგირებისა იქნება ის ძალები, რომლებიც მუდმივად მზად იქნებიან არა მხოლოდ სამხედრო საბრძოლო მზადყოფნისთვის, არამედ მათი განთავსებისთვისაც. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სტრატეგიული ამოცანა არის ნატოს წევრობა, ასევე მნიშვნელოვანი იქნება მასში საქართველოს მონაწილეობაც.**

ჩემი ინფორმაციით ამ მხრივ უკვე მიმდინარეობს სამუშაოები. ვადებზე, თუ როდის შეიძლება საქართველომ მიიღოს აქტიური მონაწილება სწრაფი რეაგირების ძალებში, ალბათ, რთული იქნება საუბარი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს არის არა მხოლოდ საქართველოს სწრაფი რეაგირების ძალების მომავალი, არამედ მთლიანად კოლექტიური თავდაცვის კონცეფციის შესაბამისად, ასეთი ტიპის ძალები არის ძალიან მნიშვნელოვანი“, — აღნიშნა დავით სიხარულიძემ.

იურისტი, ექსპერტი **ლევან ალაფიშვილი** გამორიცხავს, რომ საქართველოს სამხედრო ძალები ამ ეტაპზე წარმოდგენილი იყოს ამ შვიდეულის ფორმატში, რადგან ფორმატი უკვე განსაზღვრულია და გამორიცხულია მასში არაწევრი ქვეყნის მონაწილეობა.

თამთა ძარჩავა

დედამიწის ზურგზე

მექსიკაში გრიგალმა „ნორბერტმა“ ძლიერი წვიმები გამოიწვია: დაიღუპა 1 კაცი

55 წლის მამაკაცი დაიხრჩო მდინარეში გადასვლის დროს, ვერ გაუძლო ძლიერ დინებას. გრიგალისებური ქარის სიჩქარემ დაახლოებით საათში 150 კილომეტრი შეადგინა. „ნორბერტს“ მინიჭებული აქვს საფრთხის მაქსიმალური კატეგორია. მექსიკის ჩრდილო-დასავლეთში გამოცხადებულია საგრიგალო გაფრთხილება.

* * *

ეუთოს მეთვალყურეები ჩავიდნენ მარიუპოლში და დათვალიერეს მისი მიდამოები, სადაც გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს

ისინი იყვნენ დაბა შიროკინოში. სეპარატისტები, როგორც იტყობინებოდნენ, ცდილობდნენ მის შტურმით აღებას. „როგორც ჩვენ მიგვაჩნია, დაბას ამჟამად არ აკონტროლებს არც უკრაინის არმია, არც არარეგულარული ფორმირებები, ნათქვამია მოხსენებაში. მეთვალყურეებმა ასევე დაინახეს ცეცხლმოდებული ველები ორივე მხარეს ქალაქში შესასვლელთან.

* * *

ზვიგენები ცხრაჯერ მეტ მამაკაცს კლავენ, ვიდრე ძალებს, გამოარკვიეს მეცნიერებმა

ავსტრალიელი მეცნიერი დერილ მაკფი მიიჩნევს, რომ ადამიანთა გადარჩენისათვის ზვიგენების კბენისაგან ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა საგანმანათლებელო პროგრამა. ვინაიდან ამჟამად ხალხი ცდილობს, ზურგზე შეაჯდეს ზვიგენებს, თავში ხელი ჩაარტყას და ჩაუყოს ხელი პირში, რათა სათევზაო ანკესები ამოიღონ იქიდან. სხვათა შორის, არამოტივირებულ თავდასხმათა რიცხვიც იზრდება.

* * *

ესტონეთში გაჩნდება ნატოს კიბერპოლიგონი და სწრაფი რეაგირების ძალები

შესაბამის ხელშეკრულებას განზრახვის შესახებ ხელი მოეწერა უელსში სამიტზე. ვირტუალური პოლიგონის შექმნა ნიშნავს, რომ ესტონეთში გაიმართება ნატოს უდიდესი სპეციალისტების სწავლება კიბერთა დაცვის დარგში. ამას გარდა, ესტონეთმა და მთელმა რიგმა სხვა ქვეყნებმა დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ.

◎ მერია

მსხვილ კომპანიებს გამოწვლილვით აკვირდებიან

თბილისის მთავრობაში გაზის, წყლის, ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიების და სატრანსპორტო სისტემის ორგანიზაციების ზედმიწევნით შესწავლა მიმდინარეობს. ტრადიციული შეხვედრების ფორმატში უკვე გაიმართა შეხვედრები წყალმომარაგების კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან", ენერგოგამანაწილებელ „თელასთან" და კომპანია „სითი-პარკთან".

5 სექტემბერს დედაქალქის მერია გაზგამანაწილებელი კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის" ხელმძღვანელობას შეხვდა. 12 სექტემბერს კი თბილისის მთავრობა შპს „თბილისის მიკროავტობუსის" ხელმძღვანელობას მოუსმენს. დედაქალაქის მერიის ცნობით, შეხვედრებზე თბილისის სერვისის მიმწოდებელი კომპანიები დედაქალაქის მთავრობას გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშს აცნობენ და სამომავლო გეგმებზე მსჯელობენ. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანის ბედი სწორედ ახლა ირკვევა. გამორიცხული არ არის, საზოგადოების მუდმივმა პროტესტმა მერიის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონიოს.

ჩამოთვლილი კომპანიების მიმართ დედაქალაქის მცხოვრებლებს მუდმივად აქვთ პრეტენზია. ყვითელ „მარშრუტკებზე" და „სითი პარკზე" ლაპარაკიც ზედმეტია, მათი ბედი ისედაც კითხვის ნიშნის ქვეშაა. დარჩება თუ არა დედაქალაქელთა მომსახურების სფეროში ეს ორი კომპანია, ძალიან მალე გაირკვევა.

მოქალაქეები ხშირად უპირისპირდებიან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" წყლის მიწოდების შეზღუდვის თუ ხარისხის გამო, „თელასს" ელექტროენერგიის ბოლოდროინდელი გათიშვების გამო და „ყაზტრანსგაზ-თბილისს" არასწორად დარიცხული გადასახადებისა თუ სამონტაჟო სამუშაოების ზერელედ შესრულების გამოისობით.

სხვათა შორის, რამდენიმე მათგანის წასვლა-დარჩენაზე მუდმივად მიდის მანიპულაციები. ასეთი მითქმა-მოთქმის ლიდერი ნამდვილად „ყაზტრანსგაზია", რომელიც წელიწადში 2-3-ჯერ აბრუნებს „პლასტინკას". ყაზახებს რომ ჰკითხო, უახლესი ინფორმაცია თბილისის გაზგამანაწილებელ სისტემაში მათ დარჩენას ადასტურებს. „ყაზტრანსგაზ-თბილისის" გენერალური დირექტორი სანჟარ შოკატაევი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ყაზახური მენეჯმენტი კომპანიის მართვაში უახლოეს მომავალში დაბრუნდება. რაც შეეხება კომპანიის გაყიდვას, ჯერჯერობით ეს საკითხი აქტუალური არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთის ხელისუფლებამ კომპანიის მფლობელი „ყაზტრანსგაზის" პრივატიზაციის გეგმების შესახებ უკვე განაცხადა.

„კომერსანტის" ინფორმაციით, ასტანადან „ყაზტრანსგაზისა" და „ყაზმუნაიგაზის" დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში სექტემბრის ბოლომდე იგეგმება. სწორედ ამ პერიოდისთვის უნდა გაიმართოს ფინალური მოლაპარაკებები და გაირკვეს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" მომავალთან დაკავშირებული დეტალები, თუ „რა მიმართულებით იმოძრავებს კომპანია საქართველოში".

რაც შეეხება კომპანიის გაყიდვას, როგორც შოკატაევი ამბობს, ამასთან დაკავშირებით არსებობს მთავრობის დადგენილება, რომელიც არა მხოლოდ „ყაზტრანსგაზ-თბილისს", არამედ 50-მდე სხვა ყაზახურ კომპანიას შეეხება. თუმცა, გაიყიდება თუ არა „ყაზტრანსგაზ თბილისი", მისი გენერალური დირექტორის თქმით, ეს სექტემბრის ბოლოს თბილისში, ქართულ-ყაზახური მოლაპარაკებების შედეგად გაირკვევა.

გეძა დანელია

◎ ელამი კალმით

მოსყიდული სახედარი

ამას წინათ კახეთში აღმაშფოთებელ ფაქტს გადავაწყდი — სოფელ ჩუმლაყში გზისპირა „მარკეტის" მესაკუთრეს ვირი ხეზე მიეება, რცხილის სახრე მოემარჯვებინა და პირუტყვს გამეტებით უჟაპუნებდა.

— რას შვრები, კაცო, არ გეცოდება? — გამოვექომაგე დიდყურას.

— შესაცოდი კი არა, მოსაკლავია, მე ამის..

— რატო, ძმაო, განა ასეთი რა დაგიშავა?

— უფრო მეტი რა უნდა დაეშავებინა, მე ამის (კიდევ ერთხელ შეუკურთხა), ნისიების სია შემიჭამა.

— რა მოხდა მერე, — დავამშვიდე, — აგე უგულავამ, თბილისის მერყოფილმა, 48 მილიონი შეუჭამა სახელმწიფოს, მაგრამ კი არავის გაულახავს, უბრალოდ, დაიჭირეს.

— იმის საქციელი გასაგებია, მოპარული ფული თავის პარტიელებს ჩამოურიგა, თვითონაც დრო ატარა, იქეიფა და იგრიალა, მაგრამ ამან რა ხეირი ნახა?

ვერაფრით ვერ ამიხსნია, ამ შობელ-ძაღლმა ტუალეტის ქაღალდს რა გემო ჩაატანა?

— აკი მევალეთა სია შეჭამაო?

— ჰოდა ვალები ტუალეტის ქაღალდზე მქონდა ჩამოწერილი.

— მაშინ, იქნებ, ცემას მოეშვა, — ვურჩიე, — და ცოტახანს დაელოდო?

— ლოდინი რას მამცემს?

— რადგან ტუალეტის ქაღალდი მიირთვა, შეიძლება გული აეზრზნას და აღებინოს!

აღებინოს კი არა, დედისამისამა, რომელი აზიზი გულის პატრონი ეს მყავ. პირველად რო სია შეჭამა, სოდიანი წყალი დავალევინე, მერე საპნიანიცა, მაგრამ კუდიც არ გაუქნევია.

— კარგი ახლა, თავს ნუ მოიკლავ, ზეპირად ხო გახსოვს ვის რამდენი ემართა?

— მე კი მახსოვს, მაგრამ ამათი ნამუსის ამბავი რო ვიცი, თუ წინ ქაღალდი არ დაუდე, ყველა ატკაზს დამირტყამს.

— შენც ადექი და სასამართლოში უჩივლე.

— არაფერი გამოვა, შარშან კარდენახის „მარკეტის" პატრონმაც იჩივლა, მაგრამ...

— სასამართლო არ შედგა?

— შედგა, მაგრამ მოსამართლემ ხელები გაასავსავა, სიები, ანუ იურიდიული ნივთმტკიცება, შეჭმულია და ვერავის დავადანაშაულებო.

— არავინ დაგიმოწმებს მაინც, სიის მიხედვით ვის რა ვალი აქვს?

— მოწმე თავად ეს ოღრაშია (ვირზე მანიშნებს), მაგრამ დამემოწმება?

— რატომაც არა, ვირის პატიოსნება საყოველთაოდ ცნობილია.

— შენ მაგრე გეგონოს...

— არ მითხრა ახლა, კორუმპირებულიაო.

— გითხრა კი არა, ასეა, ეგ რო გოთვერანი და მოსყიდული არ იყოს, ამ ბალახის ოხრობაში ტუალეტის ქაღალდს რატო შეჭამდა?

— ვისზე გეპარება ეჭვი?

— ვისზე აღარ, ამასწინანდელ არჩევნებთან დაკავშირებით სოფელში ათასი ჯურის პარტიები (ლეიბორისტები, ნაციონალები, მეოცნებეები, გაერთიანებული დემოკრატები, ტრადიციონალისტები, პატრიოტები და ვინ აღარ) დასუნსულებდნენ.

— მერე, შენ ფიქრობ, რომ ვირს სია შეაჭამეს და თავად ქულები დაიწერეს?

— ქულები კი არა, ამომრჩევლები გადაიბირეს.

— როგორ, კაცო, არც გადამრიო.

— როგორ და ლამაზად, ისინი სიაში ჩამოწერილი ვალებისგან გაათავისუფლეს. ამის საფასურად კი მათ (ასეთები ნახევრ სოფელზე მეტია) თავიანთი ხმა, რა თქმა უნდა, ვირის მომსყიდველს მისცეს.

— მაგრამ, თავად ვირმა აქედან რა ხეირი ნახა?

— კარგი ერთი, ვირი და ხეირი სად გაგონილა? ამას ცოტა იონჯა მიუყარეს და არჩევნებში სულ მათ სასარგებლოდ აყროყინეს.

მეორე დღეს ეს ამბავი ჩემს გურულ კოლეგას რომ მოვუყევი, ჯერ გულიანად იცინა, მერე ინატრა, რა იქნებოდა არჩევნების პერიოდში ერთი ასეთი ვირი ჩვენ სოფელშიც ყოფილიყო, ხალხი ვალებიდან ამოვიდოდა (იქ თურმე მიცვალებულზეც ადგენენ ნისიების სიას), პოლიტიკოსები ხომ გაიხარებდნენ და გაიხარებდნენო.

რა იცი, შეიძლება მართალიც არის. ახლახან ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე ხელშეკრულება კი გავაფორმეთ, მაგრამ ეს იმის გარანტიას მაინც არ იძლევა, რომ სახედარი გურულებს კახელებზე ნაკლებად სჭირდებათ.

ოტია ჩართოლანი

◎ შთაგონება

ვაზი

რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ერი დაიბრალებს, რომ ვაზის სამშობლოა. გინდაც ყველასი იყოს, არ მენანება, მაგრამ ჩემთვის სამშობლო და ვაზი განუყოფელი ცნებებია, რადგან იგი ქრისტეს სიტყვის და მისი სიყვარულის სიმბოლოა საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ყოველი ქართველისათვის. არა, ეს ყველამ იცის, მაგრამ ბევრისათვის თავად მაცხოვრის სიტყვა და სიყვარულია გაუგებარი, რადგან, თუ გაიგებ, გაითავისებ, და თუ გაითავისებ აღარც ვაზს დაარტყამ ნაჯახს და არც ადამიანს მოიძულებ. სიძულვილი, ბოღმა, შური, ამპარტავნება და კიდევ ათასი ოხრობა კი ნამდვილად გვჭირს. მე ჩემსას ვჩივი და ყველა თავის ერს მოუფრთხილდეს. ნეტა ყველას ისევე უყვარდეს თავისი, როგორც მე — ჩემი.

საზამთროს სამშობლოდ აფრიკაა აღიარებული. ეგვიპტელებს მოჰყავდათ ეს კულტურა, საზამთრო ფარაონების სამარხებშიც გვხვდება, აბა იმქვეყნად რომ ფარაონს საზამთრო მონდომებოდა, რა უნდა ექნა, ხომ გადირეოდა კაცი! თუმცა, ქალი ფარაონიც ხომ ვიცი — ჰატშეფსუტი. აცხონოს უფალმა.

საზამთროც სითბოს მოყვარე მცენარეა, ნიადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნი და არც ვაზივით მოფერება, შვილივით გაზრდა სჭირდება. ამიტომაც ასწია ზოგიერთმა ქართველმა ვაზზე ხელი. საზამთრო არჩია.

უცხო ტომის წარმომადგენლები კი ყიდულობენ ქართულ მიწებს, ვაზს აშენებენ. მიწაწყალს ვყიდით და ჭკვიანი უცხოელი ამ შანსს ხელიდან რატომ გაუშვებს? მე მათ არაფერს ვერჩი!

როგორც ყველაფერში, ბოტანიკაშიც ჩემი ცოდნა ამოუწურავია, როდესაც კომპიუტერთან ვზივარ. ისიც ვიცი, რომ ვაზს ულვაში აქვს, იგივე პწკალი. ჩემთვის მისი ულვაში ისეთივე ნამუსია, როგორიც ოდესღაც საქართველოში ვაჟკაცის ულვაში იყო. დღეს კი, ულვაშით კი არა, ნოტარიუსით დამტკიცებული საბუთითაც ვერ ენდობი ადამიანს. სწორედ თავისი ნამუსის მეშვეობით ცდილობს ვაზი არ დაეცეს, გვერდით მყოფს ჩაეხუტოს და ამის საშუალებით იხილოს მეტი მზის სინათლე. ჩვენც მეტი ნამუსი რომ გვქონდეს, ასე ძლიერ შეგვეძლოს ახლომყოფის ჩახუტება, არ დავეცემოდით და მზესაც თვალს გავუსწორებდით. რადგან უფალია ჩვენი მზე და სამყაროში არსებული მილიარდობით მზისაგან განსხვავებით, უკვდავი, ისეთივე, როგორიც ჩვენში არსებული მისი სხივი, რომელსაც თავადვე უნდა გავუფრთხილდეთ, თუ გვინდა, რომ მარადიულობაში გადავინაცვლოთ.

ნინო გაჯელიძე

◎ ალიანჩალიანი

ახალი 50-კილომეტრიანი გზა ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის მონაკვეთზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის 50კმ-იან საავტომობილო გზის რეაბილიტაციის განსახორციელებლად ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და წინასწარი პროექტირება მიმდინარეობს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, ძირულა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის განვითარების პროექტის ფარგლებში, ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას და წინასწარ პროექტირებას საკონსულტაციო კომპანია „კოქს კონსალთინგი" ახორციელებს.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა ფანჩულიძე და მისი პირველი მოადგილე ნუგზარ გასვიანი სოფელ მოლითში იყოფებოდნენ, სადაც საავტომობილო გზის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და გზის წინასწარი პროექტირების პრეზენტაცია გაიმართა.

საპროექტო გზა მის ძირითად სიგრძეზე მიუყვება მდინარე ჩხერიმელას და ასევე ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის რკინიგზის ხაზს. ადგილობრივ მოსახლეობას აღნიშნულ გზაზე გადაადგილების პრობლემა წლებია აწუხებს, არსებულ საავტომობილო გზაზე არასდროს ყოფილა ასფალტის საფარი. 37 000-მდე ადგილობრივი მოსახლე ხრეშოვანი გზის საშუალებით გადაადგილდება, რაც სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას აფერხებს.

პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება 20-მდე სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, მოსახლეობის მობილურობა, სავაჭრო და ტურისტულ ობიექტებთან კავშირი, გაიზრდება გზაზე მოძრაობის უსაფრთხოების დონე.

ინტერპრესი

◎ ფეხბურთი

ვიწყებთ, მაგრამ...

ხშირად საქართველოს ეროვნული ნაკრები პოსტსაბჭოთა პერიოდის მეთერთმეტე შესარჩევ ციკლში ებმება. როგორც ყოველთვის — ოპტიმისტური განწყობით.

ვიმედოვნებთ, ამჯერად მაინც გატყდება ნავსი (უფრო სწორად, გვსურს, რომ იმედი ვიქონიოთ) და გაისად, „ევრო — 2016“-ის საკვალიფიკაციო ბატალიების ფინიშზე, ერთმანეთს თანამემამულეთა წარმატებას მივულოცავთ, მაგრამ...

დამაფიქრებლად გვესახება „დ“ ჯგუფის შემადგენლობა (გერმანია, პოლონეთი, ირლანდია, შოტლანდია და ჯერაც ყველასთვის უცნობ — გაუშიფრავი გიბრალტარი), მაგრამ უმთავრესი პრობლემა, ალბათ, მაინც „ჯვაროსანთა“ მენტალიტეტშია საძებნი.

დიახ, ჰორაციო, როცა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში გიძახებენ და შეკრებაზე ჩამოსვლას ნაირნაირი საბაბით არიდებ თავს, მათ შორის მოახლოებული გაბედნიერების მომიზეზებით, შენ სამეფოში ყველაფერი წესრიგში არ უნდა იყოს.

აღარაფერს ვამბობთ თვით გუნდის თავკაცის ქრონიკულში გადაზრდილ ჭირვეულობაზე, რომელიც, თითქოს ისედაც შეზღუდული შესაძლებლობების კონტინგენტი არ ყოფნიდეს, უკვე შერისხულთა შემორიგების ნაცვლად ახალ-ახალი პიროვნული კონფლიქტების მონაწილე ხდება, რაც უარყოფით გავლენას ისევ საბოლოო შედეგზე ახდენს.

ეჰ, სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ბრძოლების სტარტზე ეს ვიკმაროთ — ემანდ ჩასაფრებულობა არ დაგვწამონ.

I ტური

„ა“ ჯგუფი. ყაზახეთი — ლატვია, ჩეხეთი — ჰოლანდია, ისლანდია — თურქეთი (9 სექტემბერი).

„ბ“ ჯგუფი. ანდორა — უელსი, ბოსნია — კვიპროსი (9 სექტემბერი). ამავე ჯგუფში თამაშობენ ბელგია და ისრაელი.

„გ“ ჯგუფი. ლუქსემბურგი — ბელარუსი, ესპანეთი — მაკედონია, უკრაინა — სლოვაკეთი (8 სექტემბერი).

„დ“ ჯგუფი. საქართველო — ირლანდია, გერმანია — შოტლანდია, გიბრალტარი — პოლონეთი (7 სექტემბერი).

„ე“ ჯგუფი. ესტონეთი — სლოვენია, სან მარინო — ლიტვა, შვეიცარია — ინგლისი (8 სექტემბერი).

„ვ ჯგუფი. უნგრეთი — ჩრდილოეთ ირლანდია, ფარერის კუნძულები — ფინეთი, საბერძნეთი — რუმინეთი (7 სექტემბერი).

„ზ“ ჯგუფი. რუსეთი — ლიხტენშტეინი, ავსტრია — შვედეთი, მონტენეგრო — მოლდოვა (8 სექტემბერი).

„თ“ ჯგუფი. აზერბაიჯანი — ბულგარეთი, ხორვატეთი — მალტა, ნორვეგია — იტალია (9 სექტემბერი).

„ი“ ჯგუფი. დანია — სომხეთი, პორტუგალია — ალბანეთი (7 სექტემბერი). ამავე ჯგუფში თამაშობს სერბეთი.

გიორგი ზოთაძე

◎ სტარტის წინ

როი კინი საქართველოსთან მძიმე მატჩის მოლოდინშია

ირლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარტინ ონილის ასისტენტი როი კინი აღნიშნავს, რომ გუნდმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და კვირას პირველი სერიოზული შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ აქვს. „ბოლო ათი თვე დიდებული იყო. ასისტენტი ვარ და ნაკრების საქმიანობაში ჩარევა არ მერიდება. ნაკრებს რეალური გამოწვევა ევრო — 2016-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე აქვს და კვირას საქართველოს წინააღმდეგ მატჩით ვიწყებთ. ჩვენ ბევრი ამხანაგური თამაში ჩავატარეთ. იყო საუბრები ჩვენს შესახებ და რაც შემდგომ ოფიციალურ მატჩებში მოხდება, იმის მიხედვით გავსამართლდებით. მოხარული ვარ, რომ წარუმატებელი თამაში დავივიწყეთ და იმედია, პოზიტიურ შედეგსაც მივაღწევთ.“ — განაცხადა კინმა. ახალბედა ირლანდიელმა სპეციალისტმა მთავარ მწვრთნელ მარტინ ონილზე და ნაკრების მომავალ მეტოქეებზეც გაამახვილა ყურადღება. „ონილთან მუშაობით ვტკბები. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ნაკრებს წარმატება მოვუტანოთ. შევეცდებით ყოველ თამაშში გავიმარჯვოთ. როგორც ონილთან, ასევე ლამბერტისთან მუშაობით ბევრს ვსწავლობ. პრემიერლიგაში მითამაშია და ვმუშაობ, ინგლისში მიღებულ გამოცდილებას, რა თქმა უნდა, ირლანდიის ნაკრებს სასიკეთოდ გავუზიარებ. ძალიან დაძაბული საკვალიფიკაციო ეტაპი გველოდება. კვირას საქართველოს წინააღმდეგ მაღალი დონის თამაში გველის. ამხანაგურ მატჩებში ნაჩვენები უარყოფითი შედეგის გამო მედია გვაკრიტიკებდა, მაგრამ ეს მხოლოდ ტესტმატჩები იყო, მსგავსი კლუბებისა, რომლებიც წინასასეზონო მომზადებას გადიან“. შეგახსენებთ, რომ საქართველოს და ირლანდიის ეროვნულ ნაკრებებს შორის მატჩი 7 სექტემბერს „დინამო-არენაზე“ 20 საათზე დაიწყება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მარათონი

მსურს, შავი ზღვა მთელ სიგრძეზე გადავცურო

მსოფლიოში მარათონულ ცურვებს დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, 1810 წელს ინგლისელმა პოეტმა ჯორჯ ბაირონმა დარდანელის სრუტე გადაცურა, 65 წლის შემდეგ ინგლისელმა ზღვაოსანმა მეთიუ უებმა ლა მანში დაიმორჩილა, 1966 წელს ინდოელმა ვექილმა მიჰირ სენმა პოლკისა და გიბრალტარის სრუტეები გადაცურა, ხოლო 1987 წელს ამერიკელ ქალბატონ ლინ კოქსს ბერინგი და სხვა მრავალი სრუტე დანებდა.

მარათონული გაცურვის რეკორდებით ქართველებიც ვიწონებთ თავს: 1910 წელს ბათუმელმა წყალმაშველმა მამედ ბედიამ გადაცურა შავი ზღვა ბათუმიდან ფოთამდე (60 კმ). 1972-1973 წლებში ქუთაისელმა ფინანსისტმა ოთარ ჭიჭინაძემ ახალი ათონიდან სოხუმამდე 25, ხოლო გუდაუთიდან ბიჭვინთამდე 28 კილომეტრი დაფარა. მანვე 1987 წელს თბილისის 25-მეტრიან აუზში 37 კილომეტრის გაცურვას 11 საათი და 45 წუთი მოანდომა. 2002 წელს თბილისელმა ისტორიკოსმა ჰენრი კუპრაშვილმა ოთხგან ხელ-ფეხშეკრულმა გადაცურა დარდანელი, 10 წლის შემდეგ მასწავლებლის რეკორდი 17 წლის ანა ლომინაძემ გაიმეორა...

და აი, წლეულს 17-18 აგვისტოს რუსთაველმა ქორეოგრაფმა და ისტორიკოსმა რუსუდან გორდეზიანმა სარფიდან ფოთამდე 25-საათიანი უწყვეტი ცურვით 73 კილომეტრი დაფარა და საქართველოს 104 წლის წინანდელი მიღწევა 13 კილომეტრით გააუმჯობესა.

— პროფესიონალი მოცურავე არ ყოფილხარ. მარათონს როგორ შეეჭიდე? — ვკითხე რუსუდანს.

— ბავშვობიდან ყოველწლიურად დავდიოდი ზღვაზე. შორს გაცურვას შევეჩვიე. ორი წლის წინათ მსოფლიო ველომოგზაური და გინესის მრავალგზის რეკორდსმენი ბატონი ჯუმბერ ლეჟავა გავიცანი. რომ გაიგო, ზღვაში უშიშრად ვგრძნობდი თავს, ბათუმიდან ფოთამდე 60-კილომეტრიანი დისტანციის გაცურვა შემომთავაზა. დავთანხმდი. „ტონუსის“ აუზში ვივარჯიშე. 2013 წლის 16-17 ივნისს კი საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში 24 საათის განმავლობაში ყოველ საათში 5-წუთიანი შესვენებებით 46 კილომეტრი და 500 მეტრი დავფარე. 37-ე კილომეტრზე, თურმე, საქართველოს რეკორდი გამიუმჯობესებია, რომელიც 1987 წელს ოთარ ჭიჭინაძეს დაუმყარებია. ასე მოულოდნელად აღმოვჩნდი პირველი მიღწევის წინაშე. იმ დღეს რა დამავიწყებს — ბატონი ჯუმბერი გაოცებული და გახარებული იყო. წლეულს მარათონული გაცურვა დავგეგმეთ, რომელიც აფხაზეთისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნას, ასევე, ყველა იმ ადამიანს მიეძღვნებოდა, ვინც საქართველო დღემდე მოგვიტანა. ბატონ ჯუმბერს 23 ივლისს დაბადების დღე მივულოცე, 25-ში დილით კი გარდაიცვალა, რაც არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის იყო დიდი მოულოდნელობა და ტრაგედია.

— რუსუდან, ზღვაზე ჩამავალი მზის გამოდევნება თუ მოგნდომებია ოდესმე?

— ეგ არა, მაგრამ რვა წლისას ზღვის მეორე ნაპირზე გადაცურვის სურვილი გამიჩნდა, თუმცა სად იყო ეს მეორე ნაპირი, მაშინ არ ვიცოდი. უფრო, ალბათ, უსასრულობამ გამიტაცა. რომ წამოვიზარდე, ვცდილობდი, ოცნება რეალობად მექცია. ბატონმა ჯუმბერმაც მითხრა 21 ივლისს, ის მინდა, შავი ზღვა მთელ სიგრძეზე გადაცურო! ეს იდეა იდეად არ დარჩება. აუცილებლად გადავცურავ შავ ზღვას, სპონსორი თუ გამოჩნდება. საამისოდ ერთი თვე დამჭირდება.

— არ გეშინია?

— წლების განმავლობაში დროდადრო რამდენიმე კილომეტრიც გამიცურავს ზღვაში, ზოგჯერ დილით რომ შევსულვარ, საღამოს დავბრუნებულვარ ნაპირზე. მიყვარს წვიმისა და შტორმისას ცურვა. ასე რომ, შიშის გრძნობა არ მაქვს.

— რატომ აირჩიე მარშრუტი სარფიდან განმუსურამდე?

— რატომღაც მომინდა საქართველოს დღევანდელი ერთი რეალური საზღვრიდან მეორემდე გადამეცურა შავი ზღვა, საამისოდ ფიზიკური ძალაც მყოფნიდა, თან ეს ბატონი ჯუმბერის სურვილიც იყო. როგორც იცით, ასპარეზობა ფოთში შევწყვიტე, რადგან მზეზე კანი დამეწვა და მარილიან წყალში ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს. თანაც ქარისგან წარმოქმნილ ორმხრივ დინებაში მოვყევი. ამიტომ ცურვის გაგრძელება კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია. ამის მიუხედავად 25 საათის განმავლობაში 73 კილომეტრი დავფარე და საქართველოს რეკორდი 13 კილომეტრით გავაუმჯობესე.

— ვინ დაგეხმარა?

— ბატონი ჯუმბერის გარდაცვალების შემდეგ მარათონული გაცურვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ითავა და ყველა ხარჯიც მან გაიღო. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძეს, მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაურს, რუსთავისა და ბათუმის მომსახურების სააგენტოს და მის დირექტორ ზურაბ ზუბადალაშვილს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბ „Mia Force“-ს, მომსახურების სააგენტოს, სანაპირო დაცვის დეპარტამენტს, სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფს“, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საზღვაო სატრანსპორტო სააგენტოს, სამაშველო სამსახურს, კომისიის წევრებს, გვანჯი მანიას, ასევე, პავლე ჯუღელს, ლევან მღებრიშვილს, დავით გაბელაშვილს, ზვიად ჯანყარაშვილს და, საერთოდ, ყველა იმ ადამინს, ვინც გვერდით დამიდგა.

— მარათონისას, დამწვრობის გარდა, სხვა პრობლემები თუ გქონდა?

— არავითარი. უკან მომყვებოდნენ მაშველი და მყვინთავი, ექიმიც იყო გემზე, მაგრამ, როცა ვცურავდი, ვიცოდი, რომ ვიყავი მარტო, საკუთარ თავს მინდობილი. ერთი სასიამოვნო სიურპრიზიც: სარფიდან ცურვა საათის დაწყებული მექნებოდა, ჩემს სიახლოვეს დელფინების გუნდი რომ გამოჩნდა. ფოთამდე მიმაცილეს. მართალი გითხრათ, მათი სიახლოვე მამხნევებდა.

— 25 საათის განმავლობაში, ფიქრისთვის, ალბათ, საკმაო დრო გქონდა...

— ბევრი ვინმე დამიდგა თვალწინ: უპირველესად, მშობლები, ასევე, ცეკვის მასწავლებელი მანანა აბაზაძე, რომელმაც ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. ცეკვის გარდა, ცხოვრებაც მასწავლა. განვლილ წლებსაც გადავავლე თვალი.

— მშობლები ახსენე. ისინი არ ეწინააღმდეგებიან შენს სურვილს?

— ბავშვობისას მამა მტუქსავდა — ზღვაში შორს ნუ მიცურავო. დედამ კი ერთხელ მითხრა, „ყველა ეპოქას ჰყავს თავისი გიჟი. ერთი ეპოქა შენთვის ცოტაა, შენ ეპოქების გიჟი ხარო“.

— მოცეკვავე ხარ. ქორეოგრაფია და ცურვა — არის რამე მსგავსება ამ ორ პროფესიაში?

— თავს სპორტსმენად არ მივიჩნევ, პროფესიითაც და ბუნებითაც ხელოვანი ვარ. ქალბატონ მანანა აბაზაძესთან ვცეკვავდი. მან აღმზარდა და მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები. ხელოვნებაში მან ღმერთი დამანახვა.

— 21-ე საუკუნის „ქალთევზა“ სამომავლოდ რას აპირებს?

— გაისად ლა მანშის გადაცურვა მაქვს განზრახული, რომელიც ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას მიეძღვნება. ასევე, როგორც გითხარით, მინდა მთელ სიგრძეზე გადავცურო შავი ზღვა, და მესამე: შავ ზღვაში 250 კილომეტრი დავფარო, რაც მსოფლიო რეკორდი იქნება. ამასთანავე მსურს, რომ ამ გაცურვის 250-ე კილომეტრზე ზღვაში აღიმართოს მშვიდობის მემორიალი, რომელსაც ქართველები ერთად ავაშენებთ. ის დღედაღამ განათებული იქნება და გამოჩნდება საზღვაო სანაპირო ზოლის ყველა წერტილიდან. მას, ასევე, დაინახავენ ის გემები, რომლებიც შავ ზღვაში იმოძრავებენ. მინდა, რომ საქართველო მარადიული იყოს, ადამიანებმა ერთმანეთის მიმართ მეტი თანადგომა გამოვიჩინოთ და მეტი სიყვარული გვქონდეს.

ლექსო ცინცაძე

◎ თაობა

თურმე, შეგვძლებია!

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასკვნით მატჩში ლიდერ ჰოლანდიას დაუპირისპირდა და საჩხერის „ჩიხურას“ ფეხბურთელის ჯაბა ჯიღაურის ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა.

ალექსანდრე ჩივაძის გუნდი 8 მატჩის შემდეგ 10 ქულით მე-3 პოზიციაზეა. ევროპის ჩემპიონატზე რომ ვერ გავდიოდით, ეს თამაშის დაწყებამდეც გარკვეული იყო, თუმცა, კარგია, რომ „კარის გაჯახუნება“ გამოგვივიდა.

საქართველო: ნადირაძე, კაკაბაძე, დვალი, გრიგალაშვილი, კობახიძე (ნიკა ჭანტურია,79), ჯიღაური, ძალამიძე, ცინცაძე, პაპავა, გიორგი ჭანტურია, ქვილითაია (პაპუნაშვილი, 59).

სხვათა შორის, ეს ის ჰოლანდიის ნაკრებია, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ თბილისში 6:0 მოგვიგო!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ლეგიონერი

დებიუტიც ასეთი უნდა

ლიტვურ შეკრებაზე მყოფმა ყაზანის „უნიქსმა“ პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ვიქტორ სანიკიძის დახმარებით გამარჯვებაც იზეიმა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების კალათბურთელი რუსულ გუნდს ივლისის ბოლოს შეუერთდა და მისი დებიუტი სწორედ ბალტიისპირეთში შედგა.

საწყის შეხვედრაში ყაზანელები ლიტვის გასული ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან „პრიენაის“ გაეჯიბრნენ და კლუბი, რომელსაც არცერთი ლეგიონერი არ ჰყავს, 78:64 დაამარცხეს.

ქართველმა კალათბურთელმა 13 ქულა მოაგროვა, მასზე შედეგიანები კი მხოლოდ ლიხოდეი (15) და ჯერელსი (14) იყვნენ. „უნიქსს“ მომდევნო მატჩი კაუნასში ელის, მეტოქე კი სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ იქნება,

ისიც ვთქვათ, რომ სანიკიძე ახალ გუნდშიც 13-ნომრიანი მაისურით თამაშობს.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

მერე რა, რომ უჩვენოდ?!

მართალია, ესპანეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოს ეროვნული ნაკრები არ მონაწილეობს, მაგრამ ეს ფორუმი კალათბურთის ქართველ ქომაგთა განსაკუთრებული ინტერესით მაინც სარგებლობს. რატომაც არაპირენეებზე ხომ სპორტის ამ პოპულარული სახეობის თითქმის მთელი ელიტა შეიკრიბა.

თითქმის იმიტომ, რომ ამჯერად ტიტულისთვის ვერ იბრძვიან საკვალიფიკაციო რაუნდში ჩარჩენილი ფავორიტები — რუსეთი, იტალია და ისრაელი, ხოლო ზოგიერთ გრანდს მისი საკულტო ფიგურა აკლია (მაგალითად, საფრანგეთს — პარკერი, არგენტინას — ჯინობილი, ხოლო საბერძნეთს — სპანულისი და დიამანტიდისი).

მიუხედავად ასეთი საკადრო დეფიციტისა, ტურნირის სანახაობრივი მხარე მაინც არ დაიწუნება, რადგან ვინც ევროპის უკიდურეს სამხრეთში ჩავიდა, სრული პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს და ღირსეულად თამაშობს.

ამ ფონზეც კი გამორჩეულად გამოიყურებიან ხუან ორენგას გაწვრთნილი მასპინძლები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ ორი სრულფასოვანი გუნდის გამოყვანა. დაგვეთანხმებით, როცა სათადარიგოთა სკამზე კალდერონი, როდრიგესი, იბაკა და რეიესი გყავს, ეს დიდი ფუფუნებაა და შენი საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობაზე მეტყველებს. აღარაფერს ვამბობთ მრისხანე სასტარტო ხუთეულზე (რუბიო, ნავარო, ფერნანდესი და ძმები გასოლები), რომელსაც, რომ იტყვიან, მთების გადადგმა შეუძლია.

მოტივაციის ნაკლებობას არც კალათბურთის სამშობლოს წარგზავნილები უჩივიან, თუმცა ძნელი სავარაუდოა, რომ სარბიელზე ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა როუზმა და ჰარდენმა ისე აიყოლიონ ნბა-ს ვარსკვლავობაზე მეოცნებე პარტნიორები (კერი, გეი, კაზინსი და კომპანია), რომ მათ ესპანელთათვის ტოლ-სწორად გამკლავება და, მით უმეტეს, ვირტუალური ფინალური მეტოქეობის ტრიუმფით დასრულება მოახერხონ (მუნდიალის ბადე ისეა შედგენილი, რომ 14 სექტემბრისთვის დანიშნულ გადამწყვეტ შეხვედრამდე მათი გზები არ გადაიკვეთება).

რაც შეეხება დანარჩენ მერვედფინალისტებს, მათ, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ბრინჯაოს მედლების დასაუფლებლად თუ ექნებათ პრეტენზია, მაჩანჩალათაგან კი, ვინც უკვე დატოვეს მსოფლიოს ჩემპიონატი, ქებას იმსახურებენ ფილიპინელები, რომლებმაც ყველასთან ბოლომდე იბრძოლეს, ხოლო ხორვატებთან დამატებით დროში დამარცხდნენ.

ჯგუფური ეტაპის შედეგები

„ა“ ჯგუფი. ესპანეთი — 5, ბრაზილია — 4, საფრანგეთი — 3, სერბეთი — 2, ირანი — 1, ეგვიპტე — 0 გამარჯვება.

„ბ“ ჯგუფი. საბერძნეთი — 5, ხორვატეთი, არგენტინა — 3-3, სენეგალი — 2, პუერტო რიკო — 1, ფილიპინები — 0.

„გ“ ჯგუფი. აშშ — 5, თურქეთი — 3, დომინიკების რესპუბლიკა, ახალი ზელანდია, უკრაინა — 2-2, ფინეთი — 1.

„დ“ ჯგუფი. ლიტვა, სლოვენია — 4-4, ავსტრალია — 3, მექსიკა, ანგოლა — 2-2, სამხრეთ კორეა — 0 გამარჯვება.

პლეი ოფები

დღეს: აშშ — მექსიკა, საფრანგეთი — ხორვატეთი, დომინიკების რესპუბლიკა — სლოვენია, ესპანეთი — სენეგალი.

ხვალ: ახალი ზელანდია — ლიტვა, სერბეთი — საბერძნეთი, თურქეთი — ავსტრალია, ბრაზილია — არგენტინა.

ვიტალი ჯაფარიძე

წლეულს საქართველოში 14 ქალი მოკლეს

— ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ქალთა მიმართ გამოხატული ძალადობისა და მკვლელობების ტალღა განსაკუთრებით საგანგაშო იყო მაისში, როდესაც ერთი თვის განმავლობაში 3 ქალი მოკლეს.

— ეს ტენდენცია შეიძლება ითქვას, რომ კვლავ გრძელდება და ამიტომ მნიშვნელოვანია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლების მხრიდან ამ პრობლემების მოსაგვარებლად, — აღნიშნა ომბუდსმენმა.

ინტერპრესი

რუსლან რუსია ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს მეგობარსა და მეზობელს გოჩა ბაღიშვილს დედის

ნორა ბაღიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ტურაბელიძე, გიორგი ლაშხი, მამუკა ვაშაკიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ვლადიმერ კუტალაძეს ძმის

ილია კუტალაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლის

ლამარა ჟორჟიკაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

◎ ჩვენი უმრწემესი ძმები...

თბილისის ზოოპარკის მომავალი

თბილისის ზოოპარკის ადგილმდებარეობის შეცვლის შესაძლებლობას ჯერ მხოლოდ თეორიულად განიხილავენ. თუ გადატანა მართლაც დღის წესრიგში დადგა, ეს ხანგრძლივი და საკმაოდ ხარჯიანი პროექტი იქნებაო, — ამბობს ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე. თუმცა, მისივე თქმით, ზოოპარკის კუთვნილებაა თბილისის ზღვის მიმდებარე დენდროპარკის 46 ჰექტარი მიწა და ამ ტერიტორიას ზოოპარკი ახლაც იყენებს. რა გეგმები აქვს ზოოპარკის ადმინისტრაციას და თბილისის მთავრობას?

მას შემდეგ, რაც რამდენიმეთვიანი ადაპტაცია გაიარეს, ზოოპარკის ახალმა ბინადრებმა წყლიდან ხმელეთზე ამოსვლაც გაბედეს. სამხრეთაფრიკული სახეობის ინგლისიდან ჩამოყვანილი პინგვინები ახლა უკვე ქვიშაში მოწყობილი ბუდეებიდანაც ათვალიერებენ სტუმრებს.

როგორც ზოოპარკის საფრინველე განყოფილების კურატორი **დათო თინაშვილი** ამბობს, ეს პინგვინები გამორჩეულები არიან, ყოველ მათგანს თავისი ხასიათი და ინდივიდუალური გარეგნული ნიშნები აქვს:

„შუშებიდან რომ უყურებ, ისეთი შეგრძნება გაქვს, რომ წყალში კი არა, ჰაერში დაფრინავენ. ძალიან მოქნილი და სწრაფები არიან წყალში“.

თბილისის ზოოპარკი ერთადერთია, რომელსაც ევროპის აკვარიუმებისა და ზოოპარკების ასოციაციამ სპეციალურ მენეჯმენტს დაქვემდებარებული ცხოველი — პინგვინი — გადასცაო, ამბობს ზოოპარკის დირექტორი **ზურაბ გურიელიძე.** მისი თქმით, სწორედ ამ ასოციაციაში გაწევრიანება, ვოლიერების გაუმჯობესება, კოლექციის განვითარება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაა პირველი რიგის ამოცანა. ზურაბ გურიელიძე ამბობს, რომ სამი წელია, ევროპის აკვარიუმებისა და ზოოპარკების ასოციაცია თბილისის ზოოპარკს აკვირდება. გასაწევრიანებლად საჭიროა 5-წლიანი პერიოდი, ამისთვის კი თანამედროვე სტანდარტებთან მაქსიმალური სიახლოვის უზრუნველყოფაა საჭირო.

ზურაბ გურიელიძის თქმით, ტენდენცია კეთილსაიმედოა. ამ ასოციაციაში გაწევრიანება დამოკიდებული არ იქნება იმაზე, გადავა თუ არა ზოოპარკი ახალ ტერიტორიაზე. თავისთავად გადასვლის პროცესი რთული იქნება:

„ეს საკმაოდ რთული საკითხია, დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და არა მარტო ხარჯებთან, არამედ ხანგრძლივ დროსთანაც არის დაკავშირებული, იმიტომ რომ თავისი ეტაპები აქვს. ეს ძალიან სპეციფიკური საკითხია, ასე უცებ ვერ აშენდება, იმიტომ, რომ არ შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს ძალიან წვრილმანი საკითხებიც — ისეთი, როგორიც არის, მაგალითად, რომელი ცხოველი რომლის გვერდით უნდა იმყოფებოდეს და რომელი ცხოველის კარი რომორ უნდა იკეტებოდეს, მაგალითად. და ეს შეიძლება იყოს დაახლოებით 60 მილიონი ევროდან ნახევარ მილიარდ ევრომდე, გააჩნია, რა მოდელის იქნება. ალბათ, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ნახევარმილიარდევროიანის პრეტენზია არ უნდა გვქონდეს და, შესაბამისად, რა ტიპის ზოოპარკი იქნება, იქიდან გამომდინარე დაზუსტდება თანხაც და რაც უფრო იაფი, მით უკეთესი“.

ზურაბ გურიელიძის თქმით, არის რთული ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ზოოპარკებიც, არსებობდა მსგავსის შექნის იდეაც, თუმცა, ალბათ, უპირატესობა უფრო ადგილობრივ ლანდშაფტზე მორგებულ ზოოპარკს მიენიჭება.

თბილისის ზოოპარკში ამჟამად 600-ზე მეტი ცხოველია და ზოოპარკში დასაქმებულია 130 თანამშრომელი. ზოოპარკი ბიუჯეტიდან, სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების სახით, ყოველწლიურად 2 მლნ 400 ათასი ლარით ფინანსდება, ამას ემატება ზოოპარკის პირადი შემოსავალიც და, ზურაბ გურიელიძის თქმით, წლევანდელი შემოსავალი, საკარაუდოდ, რეკორდული უნდა იყოს და იმედია, რომ მილიონ ნახევარ ლარს გადააჭარბებს.

თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **შორენა ბუხრაშვილი** ამბობს, რომ ჯერჯერობით ზოოპარკის გადატანის საკითხზე მხოლოდ თეორიული მოსაზრებებია გამოთქმული:

„ზოოპარკის გადატანის იდეა იმ ადგილიდან, სადაც ის ახლა არის, იდეაში არსებობს, რა სახით ხდება ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტაცია, მე არ ვიცი. ვნახოთ, რას წარმოგვიდგენს თბილისის მერია ზოოპარკის გადატანასთან დაკავშირებით. დეტალებში როცა ჩავიხედავთ, ამის შემდეგ გაგცემთ პასუხს, იქნება თუ არა მიზანშეწონილი ზოოპარკის იმ ადგილას გადატანა, რომელ ადგილსაც შემოგვთავაზებს თბილისის მერია. ჯერ ეგ საკითხი აქტუალური არ არის“.

თბილისის მერმა **დავით ნარმანიამ** 23 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში განმარტა, რომ **„ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანის შესახებ ინიციატივა ნამდვილად განიხილება, თუმცა, ამ ეტაპზე აღნიშნული იდეა მხოლოდ კონცეპტუალურ დონეზე არსებობს“.**



თბილისის ზოოპარკის დამთვალიერებელთა ნაწილი ზოოპარკისთვის ადგილის შეცვლას და მის კეთილმოწყობას მიესალმება, ნაწილისთვის კი დღეს არსებული ადგილი მისადგომად უფრო მოსახერხებელია, თუმცა, არავის არ მოსწონს დიდ და ძალიან დახურულ ვოლიერებში გამომწყვდეული ცხოველების დანახვა. ზოოპარკის დირექტორის ზურაბ გურიელიძის თქმით, ასეთი ვოლიერები ანაქრონიზმია და მისი ეტაპობრივად შეცვლა უკვე დაწყებულია.

ნინო ხარაძე

რადიო „თავისუფლება“

სკანვორდი



ოთარ შენგელია!

ძმაო ოთარ, მხურვალედ გილოცავთ დაბადების დღეს. ვამაყობთ შენთან მეგობრობითა და ძმაკაცობით, ბედნიერად და ჯანმრთელად ყოფნას გისურვებთ შენ და შენს ძვირფას ოჯახს.

ალეკო კაკულია, ამირან როგავა, ზურაბ კახნიაშვილი, ჟულიენ გუბაშვილი, კობა ძადაგიძე, გურამ ჭაია.

◎ ინფორმაცია

თბილისის საპატრულო პოლიციას 10 მიკროავტობუსი დაემატა

სპეციალური დანიშნულების მიკროავტობუსები დღეიდან თბილისში იმოძრავებენ.

შსს-ს ინფორმაციით, მიკროავტობუსების დანიშნულებაა დედაქალაქში განსაკუთრებულ და ექსტრემალურ სიტუაციებში საპატრულო პოლიციის მობილური ჯგუფების გადაყვანა და გადაადგილება.

სპეციალური დანიშნულების მიკროავტობუსები მთლიანად აღჭურვილია ყველა საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და სპეციალური საშუალებებით. აღნიშნული მიკროავტობუსებით საპატრულო პოლიციის თანამშრომლები თბილისში პატრულირებასაც განახორციელებენ.

ვაჟა ჭყონიას სიცილის კარდიოგრამა ძუთაისიდან

გადმოფრენა

— ბიჭო, ჟორაია, — ეუბნება დირექტორი მძღოლს, — მოსკოვიდან ჩემი სიდედრი მოფრინავს. წადი, დახვდი და 100 დოლარს გაჩუქებ.

— რომ ვერ ჩამოფრინდეს, რა ვქნა? — იკითხა თადარიგიანმა მძღოლმა.

— თუ ვერ ჩამოფრინდა, მოდი და 200 დოლარს გაჩუქებ. — იყო პასუხი.

* * *

„ვერტალიოტი“

ორი ნარკომანი მაგარ კაიფშია.

— ნახე, სიმონ, „ვერტალიოტი“ ნახევარ საათზე მეტია პაერშია გაჩერებული.

— რა გიკვირს, სიმონ, ალბათ, ბენზინი გაუთავდა.

* * *

რატომ სჭირდება კაცს ოთხი ცოლი?

ჩემს ერთ მეგობარს 3 ცოლი ჰყავდა და მეოთხის მოყვანა გადაწყვიტა. ოჯახში ყველა წინააღმდეგი იყო, მაგრამ დედამ დაუჭირა მხარი.

რატომ?

— ოთხი ცოლი მის კუბოს ჩვენი სახლიდან უკეთ გაიტანსო.

* * *

ნამზეური ენაზე

კობაიას ცოლი, ქობულეთში 20 დღე ისვენებდა და იმდენი იტლიკინა, რომ ენაზე უფრო მაგარი ნამზეური მიიღო, ვიდრე ტანზე.

* * *

დისკოთეკის გვერდითი მოვლენა

— ყოველდღე დისკოთეკაზე ნუ დადიხარ, თორემ დაყრუვდები! — ეუბნება დედა თინეიჯერ შვილს.

— გმადლობთ, დედა, მე უკვე ვისადილე, — უპასუხა შვილმა.

* * *

ინფორმაცია „კურიერიდან“

ტყუპი ქალიშვილების მამას სამი ტყუპი ქალიშვილი შეეძინა. დედა და ახალშობილი გოგონები თავს კარგად გრძნობენ. ექიმები ყოველ ღონეს ხმარობენ მამის გადასარჩენად. მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

* * *

ფაქტზე ვერ წაასწრო

თვალებჩალურჯებული, კბილჩამტვრეული ვანო ქუჩაში მეგობარს შეხვდა.

— რა დაგემართა, ასე ვინ გაგიმეტა? — შეწუხდა მეგობარი.

— ჩემმა უფროსმა ბიჭმა.

— რატომ? — გაუკვირდა მეგობარს.

— დედა შევაგინე და...

— ბეწვზე ხარ გადარჩენილი. კიდევ კარგი ფაქტზე რომ არ წაგასწრო, თორემ უეჭველი მოგკლავდა...

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24